პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 233 (18475) კვირა, 10 ოქტომბერი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

10 ოქტომბერი სოფლის მეურნეობის მუშაკთა საკავშირო დღესასწაული

მეჩაიეებო, ვალდებულება!

ქართველმა მეჩაიეებმა მიაღწიეს გარდატეხას ფოთლის კრეფაში. გუშინწინ მოკრიფეს და გადასამუშავებელ საწარმოებს გაუგზავნეს 2.527 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, აღმოფხვრეს ჩამორჩენა დამზადებაში წინა წლებთან შედარებით. სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“ ოპერატიული მონაცემებით, პლანტაციების მშრომელებმა სეზონის დამდეგიდან მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 516.685 ტონა ნედლეული, რაც 1.154 ტონით მეტია გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით.

რესპუბლიკის მეჩაიეებს დიდი ჯაფა დაადგათ, სანამ ამ წარმატებას მოიპოვებდნენ. მათ ეს გამარჯვება სოფლის მეურნეობის მუშაკთა დღეს მიუძღვნეს. ამინდის ჭირვეულობის მიუხედავად, რომელიც ართულებდა პლანტაციებში მუშაობას, ისინი ყოველდღიურად აძლიერებდნენ ფოთლის კრეფის ტემპს და შეუპოვარი შრომით აღწევდნენ ნედლეულის დამზადებაში იმ გარღვევის ლიკვიდაციას, რომელიც ჯერ კიდევ სეზონის დამდეგს წარმოიშვა რთული კლიმატური პირობების შედეგად.

ამ წარმატების მიღწევას დიდი წვლილი შემატეს ოჩამჩირის, გულრიფშის, სოხუმის, ლანჩხუთის, სამტრედიის, ცხაკაიას, ხობის, თერჯოლის, ვანის რაიონების, ქალაქების ტყიბულისა და ჭიათურის მეჩაიეებმა, რომლებმაც გაანაღდეს საგეგმო დავალებანი და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი, და ახლა ჩაის კრეფენ ვალდებულებათა დამატებით.

წარმატებით ეწევიან ხარისხოვანი ფოთლის კრეფას ვალდებულების ანგარიშში მახარაძის, აბაშის, წულუკიძისა და რესპუბლიკის სხვა რაიონების მშრომელები. სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად ქართველმა მეჩაიეებმა კიდევ 11.315 ტონა ნედლეული უნდა მოკრიფონ. პლანტაციების მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი უთუოდ შეასრულონ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი — მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 528 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი.

(საქინფორმი).

აქტიური, მებრძოლი ბეჭდვითი სიტყვა!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან ასე თქვა საბჭოთა ჟურნალისტების ღვაწლზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა: „ჩვენი პარტია დიდი ნდობით ეკიდება საბჭოთა ჟურნალისტების მრავალათასიან რაზმს, მაღალ შეფასებას აძლევს მათ ძნელ შრომას. ბუნებრივია, ჩვენ ყველანი დაინტერესებულნი ვართ იმით, რომ ჩვენი მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებანი ყოველთვის იყოს პარტიული და საერთო-სახალხო საზოგადოებრივი აზრის ნამდვილი ტრიბუნა. გაზეთისა თუ ჟურნალის ყოველი სტატია, ტელევიზიისა თუ რადიოს ყოველი გადაცემა უნდა მივიჩნიოთ როგორც სერიოზული საუბარი ადამიანებთან, რომლებიც მოელიან არა მარტო ფაქტების ალალმართალ და ოპერატიულ აღნუსხვას, არამედ აგრეთვე მათს ღრმა ანალიზს, სერიოზულ განზოგადებებს. ვიმედოვნებთ, რომ საბჭოთა ჟურნალისტები ჩვენი პრესის მრავალმილიონიან აქტივთან ერთად ყოველთვის გამოიჩენენ მაღალ საზოგადოებრივ აქტიურობასა და პასუხისმგებლობას, ამასთან იხელმძღვანელებენ პარტიული ჟურნალისტიკის ლენინური პრინციპებითა და ტრადიციებით“.

დიახ, ჩვენი პრესის უპირველესი ამოცანაა კვლავაც ეყრდნობოდეს პარტიული ჟურნალისტიკის ლენინურ პრინციპებს. დღეს, განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში, კვლავ სახელმძღვანელო მითითებად რჩება დიდი ლენინის ანდერძი: „ბეჭდვითი სიტყვა უნდა წარმოადგენდეს სოციალისტური მშენებლობის იარაღს“.

და მართლაც, ის დიდი ავტორიტეტი და პოპულარობა, რომლებითაც ასე დამსახურებულად სარგებლობენ მშრომელ მასებში „პრავდა“, „იზვესტია“, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებები კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენენ მათ უდიდეს დამრაზმველ და მაორგანიზებელ როლს კომუნისტური მშენებლობის საქმეში.

ამიტომ ენიჭება პირველხარისხოვანი მნიშვნელობა იმ დიდ და მძიმე შრომას, რასაც ასე შთაგონებით, რუდუნებითა და მოთმინებით ეწევიან მრავალათასიანი ჟურნალისტური არმიის წარმომადგენლები, ამიტომ დგას ჩვენი პრესის საქმიანობა მშობლიური კომუნისტური პარტიის ყურადღების ცენტრში.

ამ ცოტა ხნის წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი „გაზეთ „ტრუდის“ მუშაობის შესახებ“. დასკვნები და დებულებები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაშია მოცემული, სახელმძღვანელოა არა მარტო „ტრუდის“ რედაქციისათვის, არამედ მთელი ჩვენი დიდი ჟურნალისტური კოლექტივის საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ გაზეთი „ტრუდი“ სრულად ვერ იყენებს თავის შესაძლებლობებს, ბეჭდვითი სიტყვის ძალას იმისათვის, რომ დარაზმოს მშრომელები შრომის ნაყოფიერების, ეფექტიანობისა და ხარისხის ყოველმხრივ ამაღლებისათვის, ეკონომიკის ინტენსიური განვითარების გზაზე გადასაყვანად, სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის; სრულყოფილად ვერ ასახავს საბჭოთა მუშათა კლასის საუკეთესო თვისებებს და ტრადიციებს, საქმისადმი სახელმწიფოებრივ მიდგომას, კოლექტივიზმს, ორგანიზებულობას და დისციპლინას, მოვალეობისადმი თავდადებას.

რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების საქმიანობაში, ცხადია, მეტნაკლებად, თავს იჩენს სწორედ აქ ჩამოთვლილი საკვანძო საკითხების არადამაკმაყოფილებელი გაშუქება; ხშირად ჩვენს ჟურნალისტებს არ ყოფნით ნათელი და დამაჯერებელი ფერები, რათა თავიანთ ნარკვევებში, პუბლიცისტურ წერილებში და სხვა სახის პუბლიკაციებში ცოცხლად, მთელი სიმართლით წარმოაჩინონ შრომითი კოლექტივების, ცალკეულ მოწინავეთა ენთუზიაზმი, შრომითი შემართება და თავდადება.

იმ დიდი ძვრებისა და გარდაქმნების ფონზე, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში ბოლო ათწლეულში მიმდინარეობს, არ არის საკმარისი პრესამ მარტო ფაქტებისა და მოვლენების აღმნუსხველის როლი შეასრულოს. იგი აქტიურად უნდა ერეოდეს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ეძიებდეს და პოვებდეს, რაზმავდეს მშრომელებს პარტიისა და ხელისუფლების მიერ მათ წინაშე წამოჭრილი ამოცანების გადაწყვეტისათვის. ჩვენს მკითხველებს კარგად ახსოვთ 1978 წლის ნოემბერში გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებული სტატია „გარდაქმნების პრიზმაში“, რომელიც ობიექტურ შეფასებას აძლევდა რესპუბლიკის პრესის ფლაგმანის — გაზეთ „კომუნისტის“ მუშაობაში დაშვებულ შეცდომებს.

მაშინ ჩვენი პრესის მუშაკებმა საჭირო დასკვნები გამოიტანეს ამ სამართლიანი შენიშვნებიდან და გარდაქმნეს კიდეც მუშაობა დღევანდელობის მოთხოვნის შესაბამისად, მაგრამ ცხოვრებიდან ოდნავ განზე გადგომა, რასაც ჯერ კიდევ ვხვდებით ზოგიერთი რედაქციის საქმიანობაში, პროფესიონალური მოვალეობისადმი პასუხისმგებლობის შესუსტება იწვევს მუშაობაში იმ ნაკლოვანებათა ჯაჭვის წარმოქმნას, რომელთა რგოლები ჩვენი ყოველდღიური უხეირო და არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგად ჩნდება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ავალებს „ტრუდის“ რედაქციას, რომ ფართოდ გააშუქოს სახალხო მეურნეობის გეგმების შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობა, დაეხმაროს შრომით კოლექტივებს მიაღწიონ წარმოების მაღალ საბოლოო შედეგებს, ფართოდ დანერგონ მეურნეობრიობის პროგრესული მეთოდები, გადაჭრით იბრძოლონ შრომის კანონმდებლობის დარღვევის, პირადულობის, ფორმალიზმის, უყაირათობის წინააღმდეგ. დადგენილებაში ხაზგასმულია აგრეთვე, რომ საჭიროა თანმიმდევრულად გამოვუმუშაოთ ყოველ მშრომელს შეგნებული დისციპლინა, ყოველნაირად შევუწყოთ ხელი ახალგაზრდა მუშების პროფესიულ-ტექნიკური განათლების გაუმჯობესებას. ამავე დროს ყურადღების ცენტრში უნდა იყოს მშრომელთა და განსაკუთრებით ახალგაზრდობის აღზრდა მუშათა კლასის გმირული ტრადიციებით.

ბოლო წლებში რესპუბლიკის გაზეთებში გამოჩნდა არაერთი რუბრიკა, რომლებიც შესანიშნავად ეხმაურება ზემოთწამოჭრილ პრობლემებს. ასეთია: „კომუნისტის“ — „კომუნისტი“ ეძიებს რეზერვებს“, „ზარია ვოსტოკას“ — „სამეურნეო მექანიზმი: სრულყოფის გზები“; სახტელერადიოს მთელი რიგი გადაცემები, „თბილისის“ — „ყოველი საწარმო — საუკეთესო რესპუბლიკაში, დარგში, ქვეყანაში“ და ა. შ. სტატიების უმრავლესობა, რომლებიც ამ რუბრიკებით ქვეყნდება გაზეთებში, ყურადღებას იპყრობს საქმის ცოდნით, დახვეწილი პროფესიონალიზმით, დღევანდელობის შეგრძნებით, ქვეყნის ეკონომიკის წინაშე დასმული პრობლემებით და მათი გადაჭრის გზებით, აშკარად ჩანს მიზანი და დანიშნულება — დაეხმარონ საწარმოებს, შრომითს კოლექტივებს ხუთწლიანი გეგმების შესრულების საქმეში, ხელი შეუწყონ განვითარებული სოციალიზმის ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცებას და განვითარებას, მაგრამ არც თუ იშვიათად თემებს აკლია კონკრეტულობა, ზოგიერთ სტატიის არსი არ არის გახსნილი და ცხადია ასეთ შემთხვევაში იგი სარგებლობას ვერ მოუტანს ვერც საწარმოს და ვერც კოლექტივის რომელიმე წევრს.

დადგენილებაში ხაზგასმით არის მითითებული, რომ გაზეთმა სისტემატურად უნდა ასახოს სკკპ ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, შრომითი კოლექტივების წვლილი ერთიანი სახალხო სამეურნეო კომპლექსისა და მრავალეროვნული საბჭოთა კულტურის განვითარებაში, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცება, პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილება მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში.

მართლაც, ჩვენი დიდი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა, საბჭოთა პატრიოტიზმი და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი საბჭოთა სახელმწიფოს ქვაკუთხედია და მისი სიკეთე და უძლეველობა კარგად ჩანს დღეს, როცა ასე დიდი სიყვარულით ვემზადებით სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის ალსანიშნავად. ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში გამოჩნდა მთელი გვერდები, ხოლო სახელმწიფო ტელევიზია და რადიო ვრცელ გადაცემებს უთმობენ მოძმე რესპუბლიკათა ცხოვრებას, მათი ადამიანების გმირულ შრომას, კულტურისა და მეცნიერული ფრონტის მუშაკთა მოღვაწეობას; თუმცა არ შეიძლება არ ვთქვათ, რომ კიდევ უფრო მეტს უნდა ვაკეთებდეთ ხალხთა ძმობისა და მეგობრობის სადიდებლად, მეტს უნდა ვწერდეთ ინტერნაციონალურ კოლექტივებზე, იმ სიყვარულსა და სითბოზე რითაც არიან განმსჭვალულნი ერთმანეთის მიმართ საბჭოთა ქვეყანაში, ცალკეულ რესპუბლიკებში მცხოვრები სხვადასხვა ერის წარმომადგენლები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება დიდ ადგილს უთმობს იმას, თუ როგორ უნდა შეუწყოს გაზეთმა ხელი მშრომელთა თავისუფალი დროის რაციონალურ ორგანიზაციას, კულტურულ-მასობრივი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის შემდგომ აღმავლობას, საუწყებო კუთვნილების მიუხედავად არსებული მატერიალური ბაზის ეფექტიან გამოყენებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მზრუნველი და ყურადღებიანი დამოკიდებულება მშრომელი მასებისადმი კიდევ ერთხელ ჩანს დადგენილების იმ ნაწილში, სადაც საქმე ეხება მშრომელთა წერილებისა და კორესპონდენციების ფართოდ გამოყენებას პროფკავშირული და სამეურნეო ორგანოების სრულყოფის, მოწინავე გამოცდილების დანერგვის, ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის, საბჭოთა კანონების დარღვევების პრინციპული საკითხების დაყენებისათვის. ცენტრალური კომიტეტი ავალებს გაზეთს რეგულარულად გამართოს კოლექტივებში „ღია წერილის დღეები“ და გაზეთის ზეპირი გამოშვება. ამავე დროს დადგენილება განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მუშკორთა და სოფლკორთა მოძრაობაზე, ეკონომიკური და კულტურული მშენებლობის, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის უმნიშვნელოვანესი საკითხების გაშუქებისათვის მუშა და სოფლის კორესპონდენტების მობილიზებაზე.

რედაქცია ვალდებულია უზრუნველყოს პუბლიკაციათა მაღალი ქმედითობა, — აღნიშნულია დადგენილებაში, — ისინი უნდა გამოირჩეოდნენ ანალიზის სიღრმით. კრიტიკას გაზეთში უნდა ჰქონდეს ობიექტური, კონკრეტული, კონსტრუქციული ხასიათი და სწორი იდეური პოზიცია.

გაზეთ „ტრუდის“ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები როგორც სკკპ ცენტრალურ კომიტეტის დადგენილებაშია აღნიშნული, იმის შედეგია, რომ რედაქცია არსებით შეცდომებს უშვებს თავისი კორესპონდენტების მუშაობის ორგანიზაციაში, არ უყენებს მათ მაღალ მოთხოვნებს, რედაქციის პარტორგანიზაცია დამაკმაყოფილებლად ვერ ახდენს ზემოქმედებას კადრების გადანაწილებაზე, გაზეთის იდეურ დონეზე, მის ქმედითობაზე, არ უთმობს საჭირო ყურადღებას მარქსისტულ-ლენინურ სწავლებას, ჟურნალისტთა პროფესიულ ზრდას, კოლექტივის აღზრდას.

გაზეთ „ტრუდის“ მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც მუდამ გვხვდება ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში. ამიტომ, ბუნებრივია, ეს დადგენილება მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოა ყოველი ჟურნალისტური კოლექტივისა თუ ცალკეული ჟურნალისტისათვის.

სწორედ ამ საკითხებზე გამახვილდა ყურადღება ამასწინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელები. ამ საკითხებზე გაიმართება საქმიანი, პრინციპული სჯა-ბაასი რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული ჟურნალ-გაზეთების, სახტელერადიოს პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე.

გაზეთ „ტრუდის“ მუშაობის შესახებ მიღებული დადგენილება კიდევ ერთხელ ადასტურებს რაოდენ დიდი და საპატიო მისია აკისრიათ პრესას, სახტელერადიოს განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში წამოჭრილი უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივ-სახალხო ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საქმეში. არ შეიძლება აქვე არ გავიხსენოთ საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მიერ წარმოთქმული სიტყვები: „პრესის, ტელევიზიისა და რადიოს მუშაკებს, ყველა ჟურნალისტს, თითოეულს ცალ-ცალკე უნდა ახსოვდეთ, რომ მათს პირად წვლილზე, პირად მონაწილეობაზე, დაინტერესებაზეა დამოკიდებული პარტიის მოთხოვნის წარმატებით განხორციელება — თითოეული გაზეთის, წიგნის, ტელეგადაცემის გადაქცევა მასების პოლიტიკური ორგანიზაციის, საზოგადოებრივი შეგნების ჩამოყალიბების ქმედით საშუალებად“.

მაშ ვიყოთ ამ საბრძოლო მოწოდების დონეზე!

დღესასწაულს გილოცავთ მეგობრებო

როცა ზილიჩის ზამთრის საძოვრებზე გუთანმა პირველი კვალი გაავლო, მიწიდან თიხის ნამსხვრევები ამოცვივდა. გუთანი ზოგან ქვევრს, ზოგან კი დოქსა თუ ჯამს მოედო. უნდა გვეფიქრა, რომ ეს უზარმაზარი ველი ოდესღაც ბაღ-ვენახებით იყო დაფარული. სოფლების ზემო ქედის, არხილოსკალოს, ქვემო ქედის კოლმეურნეობებში, სადაც ძირითადად მთიდან ჩამოსახლებული ხალხი ცხოვრობს, დიდხანს იყო ბჭობა იმაზე, ხელი მოეკიდათ თუ არა მევენახეობისათვის. ყველამ თავისი გადაწყვეტილება მიიღო, მათ შორის ზემო ქედმაც 300 ჰექტარზე გააშენა ვენახი.

...ეს იყო ამ სამი ათეული წლის წინათ.

ჩვენს რესპუბლიკაში მევენახეობის ინტენსიური განვითარების ამოცანა რომ დადგა, ქედელებს ამაზე ფიქრი აღარ დასჭირვებიათ. ზემო ქედის კოლმეურნეობის ზვრებს ამ მადლიან მიწაზე ახლა 1.600 ჰექტარი უკავია. ადვილი წარმოსადგენი რომ იყოს, ვიტყვით: მისი ფართობი სამჯერ აღემატება ყველასათვის ცნობილ ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას. 15 საწარმოო ბრიგადაა კოლმეურნეობაში, თითოეულს ასზე მეტი ჰექტარი ვენახი აქვს მიჩენილი.

რაც მთავარია, ხალხმა გულით შეიყვარა ვაზი. ვენახიც არ აკლებს მათ სიკეთეს. ყოველწლიურად კოლმეურნეობას მისგან 5-6 მილიონი მანეთი შემოსავალი აქვს, რაც კოლმეურნეობის მთელი ფულადი შემოსავლის 65–70 პროცენტია. ბევრია ისეთი ოჯახი, თუნდაც გივი მამუკელაშვილის, კოტე ხერკელაძის და სხვებისა, რომლებიც წელიწადში 12–13 ათას მანეთს იღებენ.

ჰოდა, ადვილი წარმოსადგენია, ამ გაზაფხულზე პირველი სეტყვა ზემოქედელთა ზვრებს, საერთოდ, წითელწყაროს რაიონის ვენახებს რომ დაატყდა, რა უბედურება დატრიალდებოდა.

აი ვენახი!

ზემო ქედის კოლმეურნეობიდან — 11.000 ტონა ყურძენი

— ეს იყო რაღაც საშინელი ამბავი, — გვეუბნება კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი არსენ კობაიძე, — ის იყო პირველი ფურჩვნა ჩავათავეთ, ნაყოფს შევხედეთ, და აჰა, ეს უბედურებაც თავს დაგვატყდა.

იმავე დღეს ჩვენთან გაჩნდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელები, მწერლები, პოეტები, კეთილი მეზობლები. გვანუგეშეს, დაგვამშვიდეს. ჩვენმა მევენახეებმა იგრძნეს დიდი მორალური მხარდაჭერა, ნუგეში, გვერდში დგომა და, რომ იტყვიან, შეუძლებელი შეგვაძლებინეს.

ამ გაჭირვების ჟამს, გვერდიდან არ მოგვცილებია ჩვენი შეფი, მრჩეველი და დამრიგებელი — მევენახეობისა და მეღვინეობის კვლევითი ინსტიტუტი, მისი დირექტორი ნოდარ ჩხარტიშვილი, ინსტიტუტის სპეციალისტთა ჯგუფი ბიკენტი ბექაურის ხელმძღვანელობით.

დიდი თუ პატარა იმ დღეებში ვენახში იყო. ორპროცენტიანი ბორდოს ხსნარის შესხურებაზე დღედაღამ მუშაობდა 23 სატრაქტორო საწამლო აპარატი, რომელთაც მექანიზატორები ზაქარია ჩოხელი, გივი მამუკელაშვილი, თევდორე ქიქაიძე, ნოდარ ბექაური მართავდნენ. იმავე დღეს ვერტმფრენავი ჩამოფრინდა თბილისიდან და საქმეს თავისი ხელი დაატყო. მთლიანად განადგურებული 117 ჰექტარი ვენახი ხელახლა გაისხლა, 11-ჯერ ბორდოს სითხით შეიწამლა; არც სხვა ვენახებს დააკლეს ხელი — წამლობა, ფურჩვნა თუ კულტივაცია ისე ჩაატარეს, როგორც ეს მეცნიერებმა და გამოცდილმა მეურნეებმა უკარნახეს. და აი, ახლა ნახეთ ვენახი, ბარაქით სავსე მერთელე ზილიჩა.

მეტნაკლებად დასეტყვილი 260 ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე ყურძნის მოსავალი 80–90 ცენტნერს აღწევს, სხვაგან კი რატომ 130–140 ცენტნერსაც არა!..

უშანგ ჩოხელის ბრიგადა მეწინავეობს. დაგეგმილი 81-ის ნაცვლად, ჰექტარზე 130 ცენტნერს იწევს, თითქმის ამდენსავე ვალიკო მკერვალიძის, მიხეილ ბეგოიძის ბრიგადები იღებენ. ცალკეული მევენახეები კი — ბაბალე ჩოხელი, გიგო კობაიძე, ნინო ბუქური, იზოლდი ქენქაძე, ნინო ბექაური, სოფიო პაპიაშვილი, რომელთაგან თითოეულს 3–4 ჰექტარი ვენახი აქვს მიჩენილი მოსავლელად, ჰექტარზე საშუალოდ 170–180 ცენტნერს იღებენ. ახლა ყურძენს არ იტყვით? სულ მაღალ ხარისხად ბარდება. რა თქმა უნდა, ანაზღაურებაც კოლმეურნეობას და მევენახეებსაც დიდი ექნებათ.

სიკეთის, ბარაქის სათავე შრომა-გარჯაა. და აი, დღესასწაულობს, რთველობს და ზეიმობს ზილიჩის დიდი ზვარი. თუმც სტიქიის გამო გეგმას ვეღარ ართმევენ თავს არხილოელი და ქვემოქედელი მევენახეები, მაგრამ მათ წელს არანაკლები შრომა და ოფლი ჩაღვარეს ვენახში, ახლაც ყველაფერს ღონობენ, —რათა გადარჩენილი ჰირნახულის არც ერთი კილოგრამი არ დატოვონ ვენახში.

ზემოქედელებს კი რაიონის მევენახეთა შორის გამარჯვების დროშა უკავიათ ხელში. შარშან სამშობლოს 10.000-ზე მეტი ტონა ყურძენი დაუმზადეს, პირობა პირნათლად შეასრულეს, წელს კიდევ უფრო მეტს — 11.000 ტონას, ანუ გეგმაზე 2.650 ტონით მეტს ჩააბარებენ სახელმწიფო მარანს.

ამ დიდ მოსავალს ზემოქედელები ვერ მოერეოდნენ, მათ რომ კეთილი მეზობლები, მოსწავლეები, დიასახლისები, მოხუცები თუ პენსიონერები და, რაც მთავარია, თბილისელი სტუდენტები არ ეხმარებოდნენ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთა ასეული, რომელსაც ნოდარ სურგულაძე მეთაურობს, დღეში 25-30 ტონა ყურძენს კრეფს. მათგან დაუზარელი შრომით გამოირჩევიან ნელი ოშორიძე, გია რობაქიძე, გოგი გრძელიშვილი, მზია სუტური, ვლადიმერ ბებურიძე.

ყოველწლიურად ზემოქედელთა ზვრებში მუშაობს 700–800 კაცი, მათ შორის 500–600 კოლმეურნე. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ საკმარისი იყოს. ზემოქედელებს სულ მოკრეფილი და სახელმწიფოსათვის მიყიდული აქვთ 7.000 ტონა ყურძენი. მოსაკრეფია კიდევ 4.000 ტონა. ამას ცოტა დრო როდი დასჭირდება! მით უმეტეს, როცა ამინდი თანდათან ჭირვეულდება.

მადლობის მეტი რა გვეთქმის სოფელ ჯაფარიძის, წითელწყაროს, გამარჯვების კოლმეურნეობებისათვის, რომლებმაც რთველი დაამთავრეს, სამშობლოსათვის მიცემული პირობა შეასრულეს, მაგრამ, არანაკლები კეთილშობილური საქმე იქნებოდა, რომ ისინი თავიანთი მუშახელით, ტრანსპორტით ზემოქედელ, არხილოსკალოელ თუ ქვემოქედელ მევენახეებს დაეხმარონ.

როგორც სპეციალისტები, მევენახეები ვარაუდობენ, წითელწყაროს რაიონი წლეულს სამშობლოს 45–46 ათას ტონა ყურძენს დაუმზადებს, აქედან მეოთხედი ზემოქედელებზე მოდის.

ბარაქალა თქვენს შრომას, ზემოქედელო მევენახეებო, გამარჯვების მესვეურებო და მედროშეებო!

ვლ. მეძღლიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათზე: ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი არსენ კობაიძე (მარჯვნივ) და მოწინავე მევენახე გიგლა არაბული რთველში.

ბ. არქანიანცის ფოტო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

წულუკიძის რაიონის მშრომელთა საგულისხმო ინიციატივა

წულუკიძის რაიონი ძირითადად მცირე მოცულობით აწარმოებს რეგიონისათვის დამახასიათებელ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურას, ამასთან მას ჯერ კიდევ არა აქვს თავისი აშკარად გამოხატული პროფილი და სპეციალიზაცია სასოფლო-სამეურნეო, დარგობრივ და რესპუბლიკურ დანაწილებაში. რაიონის ხელმძღვანელობა მოეთათბირა სპეციალისტებს, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, უზბეკეთის სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სადაც მეაბრეშუმეობა ჯეროვან დონეზეა დაყენებული, აქტივს, მშრომელებს, გააანალიზა ეკონომიკის მდგომარეობა, მისი განვითარების პერსპექტივები, და დასახა რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა 2000 წლამდე პერიოდისათვის. პროგრამის მიზანია გამონახონ ყველაზე ოპტიმალური ფორმა სოფლის მეურნეობის კულტურების მოვლა-მოყვანის შეხამებისა ერთი ძირითადი მიმართულების უპირატეს განვითარებასთან, რომელიც განსაზღვრავს რაიონის პროფილს, მის იერ-სახეს რესპუბლიკის მასშტაბით. ასეთ დარგად განისაზღვრა მეაბრეშუმეობა.

არჩევანი განაპირობა რაიონისა და საერთოდ რესპუბლიკის ინტერესებმა, იდეალურმა ბუნებრივ-კლიმატურმა პირობებმა, ოდინდელმა ტრადიციამ და რაიონის მოსახლეობის სიყვარულმა ამ დარგისადმი.

დასახული პროგრამის პრაქტიკული განხორციელებისათვის აქ უკვე გადაიდგა პირველი პრაქტიკული ნაბიჯი. დაიწყო ახალი დაავადებამედეგი ჯიშის ფურცლის მასობრივი გამოყვანა და ნერგების გადარგვა. უკვე მიმდინარე წელს გამოიყვანეს 120–130 ათას ძირ სტანდარტულ ნერგს.

რაიონის მშრომელებმა გადაწყვიტეს 1982–1990 წლებში დარგან 759–800 ათასი ნერგი. ეს ნიშნავს, რომ მეთორმეტე ხუთწლედის დამლევისათვის აქ იქნება მილიონ — მილიონ ასი ათასი ძირი ფურცელი. უზბეკეთიდან შემოტანილია 25 კილოგრამი ჰიბრიდული თესლი, რომელიც გაისად დაითესება. მომდევნო წლებში საჭირო თესლის ნახევარს აწარმოებენ რაიონის ფურცლის სასათბურე მეურნეობაში, დანარჩენს შემოზიდავენ. შერჩეულია სარგავი ფართობები, განსაზღვრული არიან პირნი, რომლებიც უხელმძღვანელებენ ნერგების ადგილზე გამოყვანას. ნერგების გამოყვანა განხორციელდება საზოგადოებრივ მეურნეობებში, აგრეთვე სახელშეკრულებო საწყისებზე კოოპერირების გზით. ყოველი კომლი დარგავს საშუალოდ 30–35 ფურცლის ნერგს. იგი მასობრივი წესით დაირგვება საწარმოებისა და სკოლების ეზოებში, ფერდობებზე, გზისპირებსა და არხისპირებში, ნათესების ირგვლივ.

ამ და სხვა კონკრეტული ღონისძიებების განხორციელების მეოხებით აქ ყოველწლიურად გაზრდიან აბრეშუმის პარკის წარმოებას და 1990 წლისათვის მიიღებენ 100–120 ტონა პროდუქციას სხვების დაუხმარებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა საქართველოს კომპარტიის წულუკიძის რაიკომის პირველი მდივნის ვ. ა. კვარაცხელიას ინფორმაცია მეაბრეშუმეობის განსავითარებლად რაიონის მშრომელთა ინიციატივის შესახებ და მოიწონა იგი.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასს რესპუბლიკისა და აჭარის ასს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს დაევალათ გააჩაღონ მუშაობა, რათა ფართოდ გავრცელდეს წულუკიძის რაიონის მშრომელთა ინიციატივა მეაბრეშუმეობის განვითარების შესახებ.

იმ მიზნით, რომ შემუშავდეს მეაბრეშუმეობის, აბრეშუმის პარკის დამმუშავებელი მსუბუქი მრეწველობის დარგების განვითარების მიზნობრივი კომპლექსური პროგრამა, შეიქმნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კომისია შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: ჯ. ი. პატიაშვილი (თავმჯდომარე), ო. გ. ვარძელაშვილი, ო. მ. ივანაშვილი, ლ. ლ. ზაქაიძე, ლ. ა. ღურწკაია, გ. დ. მგელაძე, თ. კ. ჯაბადარი, გ. პ. გამცემლიძე და გ. დ. ყიფიანი.

კომისიას დაევალა მეცნიერთა და სპეციალისტთა მონაწილეობით შეიმუშაოს რესპუბლიკაში მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის პარკის დამმუშავებელი საწარმოების შემდგომი განვითარების კომპლექსური პროგრამა 1983–1990 წლების პერიოდისათვის. ანალოგიური კომისიები იქმნება აბრეშუმის მწარმოებელ ძირითად რაიონებში.

საქინფორმს, საქართველოს სსრ სახტელერადიოს, რესპუბლიკური გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს დაევალათ სისტემატურად გამოაქვეყნონ მასალები მეაბრეშუმეობის მდგომარეობის საკითხებზე.

(საქინფორმი).

სოფლის მშრომელთა პატივსაცემად

კარგი შრომითი მაჩვენებლებით შეხვდნენ თავიანთ პროფესიულ დღესასწაულს საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელები. წლევანდელი უამინდობის მიუხედავად უკვე 26 სექტემბრისათვის რეალიზებული იყო ჩაის ფოთლის კრეფის საგეგმო დავალებანი. წარმატებას აღწევენ მევენახეებიც. უკვე დამზადებულია და გადასამუშავებელ საწარმოებს გაეგზავნა 260 ათას ტონაზე მეტი ყურძენი.

ახლა სოფლის მშრომელებმა გააჩაღეს ბრძოლა საშემოდგომო მინდვრის სამუშაოთა დროული დამთავრებისათვის, საგაისო მოსავლის საფუძვლის შექმნისათვის.

ყოველივე ამის შესახებ იყო სჯა-ბაასი სოფლის მეურნეობის მუშაკთა საკავშირო დღისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, რომელიც 8 ოქტომბერს გაიმართა ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. სხდომა გახსნა სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. კავაძემ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა გ. მგელაძემ.

სხდომის მონაწილეებს მიესალმნენ მოწინავე მეჩაიეები, მევენახეები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელები, მეცნიერები, რესპუბლიკის დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე თ. ი. მოსაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ლ. ლ. ზაქაიძე. (საქინფორმი).

ბელადის ძეგლი ფოთში

ფოთი, (საკ. კორ.). შესანიშნავი მიღწევებით შეეგებნენ ქალაქის მშრომელები სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შექმნის მეხუთე წლისთავს: სამრეწველო საწარმოთა შრომითმა კოლექტივებმა ვადამდე, ჯერ კიდევ სექტემბრის მიწურულს შეასრულეს ძირითად სახეობათა პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ათი თვის საგეგმო დავალებები. ასევე ნაყოფიერად ირჯებიან სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მუშაკნიც.

მაგრამ მიმდინარე საიუბილეო წლის ეს დღე სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მეხუთე წლისთავის დღე ფოთელებისათვის განსაკუთრებით იმით იყო გამორჩეული და ღირსსახსოვარი, რომ სწორედ 7 ოქტომბერს ქალაქის მთავარ, ლენინის ქუჩის დასაწყისთან, იქ, სადაც რიონის ერთი ტოტი შავ ზღვას ერთვის, საზეიმოდ გაიხსნა მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის ძეგლი (ავტორები — მოქანდაკე, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, პროფესორი მ. მერაბიშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არქიტექტორები თ. თევზაძე და ვ. ქურთიშვილი).

ამ ღირსშესანიშნავი მოვლენისადმი მიძღვნილი საზეიმო მიტინგი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერები და ხელოვნების მოღვაწენი, ფოთთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული ქალაქების — ბერდიანსკისა და ლიეპაიის, აგრეთვე ასტრახანის თევზის მრეწველობისა და მეურნეობის ტექნიკური ინსტიტუტის დელეგაციები, ქალაქის შრომითი კოლექტივების, ინტელიგენციის, მოსწავლე ახალგაზრდობის წარმომადგენლები, პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანები, შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. გულუამ.

მიტინგის მონაწილეებმა გულწრფელი მადლობა მოახსენეს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ქალაქზე ასეთი ზრუნვისა და ფოთში ვ. ი. ლენინის ძეგლის გახსნისათვის.

დასასრულ მიტინგის მონაწილეთათვის მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების ძალებით გაიმართა თეატრალიზებული წარმოდგენა — „ლენინი ჩვენი დროშაა!“

რ. ლვამიჩავას ფოტო.

10 ოქტომბერი სოფლის მეურნეობის მუშაკთა საკავშირო დღეა

ჯერ კიდევ სულ ახლახან, 1980 წელს თეთრი წყაროს რაიონის სოფლის მეურნეობა წამგებიანი იყო. მომდევნო წელიწადს კი თეთრწყაროელებმა მილიონ 400 ათასი მანეთი მოგება მიიღეს. რაიონის მშრომელები მომავალს უფრო იმედიანად უყურებენ. მათ გადაწყვეტილი აქვთ ყველა სახეობაში შეასრულონ პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები, კიდევ უფრო გაზარდონ მოგება და ხუთწლედი გამარჯვებით დააგვირგვინონ. გთავაზობთ „კომუნისტის" კორესპონდენტის ინტერვიუს საქართველოს კომპარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პირველ მდივანთან ამხ. ჯ. ბედუკაძესთან.

— დღეს თეთრი წყაროს რაიონსაც აქვს განსახორციელებელი თავისი სასურსათო პროგრამა. თქვენმა რაიონმა ახალი ვალდებულებები იკისრა. ახლა სიტყვას საქმე უნდა მოჰყვეს. გვითხარით პრაქტიკულად რა კეთდება?

— სასურსათო პროგრამის განხორციელება ადვილი რომ იყოს, ეს პრობლემა ალბათ არც წამოიჭრებოდა. საქმე ყველგან ორგანიზებულ შრომას მოითხოვს. ჩვენთან პრობლემა ის არის, რომ უნდა გავუტოლდეთ მოწინავეებს. თავის მხრივ, სასურსათო პროგრამაზე ფიქრი არც ჩვენ დაგვიწყია მარტოოდენ მაისის პლენუმის შემდეგ. ამ პლენუმმა სტიმული მოგვცა და გზები გვიჩვენა.

თეთრწყაროელები თითქოს საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე მოვედით გონს. როგორც ცნობილია, რესპუბლიკის კომუნისტთა ამ დიდ ფორუმზე მწვავედ, მაგრამ სამართლიანად გაგვაკრიტიკეს იმის გამო, რომ ჩვენთან სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებამ ზრდის ნაცვლად მეათე ხუთწლედში კლება იწყო. წლითიწლობით მცირდებოდა ფონდუკუგების მაჩვენებელი სოფლის მეურნეობაში.

ჩვენი ნაკლებნაყოფიერი მუშაობის თავიდათავი კი ის გახლდათ, რომ არ გვივარგოდა პარტიული მუშაობის სტილი. პირდაპირ მიგვითითეს კიდევაც ყრილობაზე, თეთრწყაროელები პარტიული მუშაობის სტილად მარტო სამეურნეო საკითხებზე მსჯელობას სახავენ.

რაღა თქმა უნდა, მწვავე და სამართლიანი კრიტიკა ჩვენთვის სახელმძღვანელოდ იქცა.

— ცხადია, ალბათ ამიტომ არჩევდით მერე ხელმძღვანელ კადრებს ესოდენ სიფრთხილითა და ხაგულდაგულოდ.

— ვარჩევდით. ამ საქმეში მონაწილეობდნენ მთელი რაიკომის ბიუროს წევრები, აქტივი. ვიყავით უთუოდ კრიტიკული შემფასებლები. 12 საბჭოთა მეურნეობიდან ათში შევცვალეთ დირექტორები, მერე 5-6 მეურნეობას კვლავ ახალი დირექტორები გამოვუნახეთ, სამ მეურნეობაში მესამედ შევცვალეთ თავკაცები, რა გვექნა? იქნებ არც ლამაზად ჩანდა ეს ამბავი, მაგრამ, თუ ერთ უგერგილო მუშაკს მიანიშნებ და დაანახვებ, რომ იგი თანამდებობისათვის შეუფერებელია, ვერც მეორეს აპატიებ და ვეღარც მესამეს აიტან, ვიდრე არ შეირჩევა იმგვარი პიროვნება, რომელიც გაამართლებს ნდობას თავისი ნიჭით, ცოდნით, ენერგიით, ადამიანური თვისებებით. მართალია, თავდაპირველად ძნელია, მაგრამ თუ გაგიმართლებს, წვალება და შრომა ორმაგად ანაზღაურდება. პარტიის თეთრი წყაროს რაიკომის ბიუროს მტკიცედ სჯერა, რომ შარშანდელი ჩვენი წარმატება და წლევანდელი კარგის მოლოდინიც სწორედ იმით არის გამოწვეული, რომ ასე საგულდაგულოდ ნარჩევმა ხელმძღვანელებმა თავიანთი სიტყვა თქვეს.

— საქმე მარტო ფულის გაფლანგვა არ არის. ამ მანკიერმა მოვლენამ ორბეთის საბჭოთა მეურნეობა ალბათ ხხვაგვარადაც დააზარალა.

— დაგვაზარალა და მერე როგორ! ორბეთში მაშინ იმ „სპეციალისტებს" საქმისათვის არ ეცალათ და იქიდან წამოვიდა ის უბედურებაც, რომ მსხვილფეხა პირუტყვში იფეთქა საშინელმა დაავადებებმა — ბრუცელოზმა და ტუბერკულოზმა. იძულებული გავხდით მთელი ნახირი შეგვეცვალა. სხვა მეურნეობებშიც გაჩნდა დაავადებანი. იქ თითქმის მოვსპეთ. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარული სამსახურის სამმართველომ აღნიშნა, დაავადებებს თეთრწყაროელები კარგად ებრძვიანო, მაგრამ ეს ჩვენთვის რა ნუგეშია. მოქმედებაა საჭირო. მართალია რაიონში გეგმით გათვალისწინებული მსხვილფეხა პირუტყვის ოდენობა გვყავს, მაგრამ 700 სული ფური გვაკლია. წლის ბოლომდე გვინდა ეს დანაკლისი როგორმე შევავსოთ. ორბეთის საბჭოთა მეურნეობაში უკვე შემოვიყვანეთ 510 დეკეული. კიდევ უნდა შემოვიყვანოთ 200 დეკეული და 100 ფური.

— ახლა გთხოვთ გვითხრათ იმაზე, თუ რა სამეურნეო ღონისძიებებით შესძლეთ 1982 წელს წინა წლებთან შედარებით 2 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქციის შექმნა.

— ორ წელიწადში რაიონის

კარგი ცხოვრება კარგმა შრომამ იცის

„კომუნისტი" ეძიებს რეზერვებს

სოფლის მეურნეობაში შემდეგი ძირითადი ღონისძიებანი განხორციელდა: გაიწმინდა 9100 ჰექტარი ძლიერ დაქვიანებული სახნავ-სათესი მიწები, ჰექტარიდან ზოგჯერ 20-25 ტონა ქვა გამოგვქონდა. ეს იყო მძიმე, მაგრამ აუცილებელი საქმე. ავითვისეთ 195 ჰექტარი ახალი მიწა. 800 ჰექტარზე გავაუმჯობესეთ სათიბ-საძოვრების ზედაპირი. მოვუბრუნდით მდინარეების ალგეთისა და ხრამის ნაპირებზე მიტოვებულ 75 ჰექტარ სახნავ მიწას. აქვე ვასუფთავებთ მამაპაპურ სარწყავ არხს. პირველად შარშან შევიტანეთ მინერალური სასუქები 3000 ჰექტარ ბუნებრივ სათიბ-საძოვრებში. ეს სამუშაოები დღესაც გრძელდება.

1981 წლიდან მიმდინარეობს მსხვილფეხა პირუტყვის სპეციალიზაცია, სახორცე მიმართულების მოზარდეული მთლიანად გადაეცემა გარდაბნის რაიონის ჯანდარის სასუქებელ კომპლექსს. სამაგიეროდ დავსახეთ ღონისძიებანი, რათა ხუთწლედის ბოლოსათვის ძროხის სულადობა გაორკეცდეს და 10 ათას სულს მიაღწიოს.

ვფიქრობთ განვავითაროთ მეღორეობა. დასახულია ღონისძიებანი, რათა ხუთწლედის ბოლოსათვის ერთი ორად მეტი ნეზვი გვყავდეს. 1980 წელს ყოველ 100 ნერბზე 66 ბატკანი მივიღეთ. შარშან 76, ხოლო წლეულს, ავი ზამთრის და ცუდი პირობების მიუხედავად, 83 ბატკანი შევინარჩუნეთ.

თეთრწყაროელი მეცხოველეები 1980 წლამდე ვერც ერთი ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით ვერ ასრულებდნენ გეგმას. 1982 წლიდან ეს დარგი რესპუბლიკაში მოწინავეთა შორის ჩადგა. ამჟამად მიმდინარეობს მეფრინველეობის ფაბრიკების რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოები, რაც მეფრინველეობას უფრო პერსპექტიულს გახდის.

ჩვენი რაიონის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის წანამძღვრად უთუოდ უნდა მივიჩნიოთ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიერ 1980 წლის სექტემბერში მიღებული დადგენილება „მეთერთმეტე ხუთწლედში სოფლის მეურნეობაში კომპლექსური მექანიზაციის დონის მაქსიმალური ამაღლებისათვის თეთრი წყაროს რაიონის სოფლის მშრომელებისა და რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო პროფილის სამეცნიერო ორგანიზაციების ინიციატივის შესახებ".

წლეულს მარცვლის აღების პერიოდში შეიქმნა კომპლექსური რგოლი 5 კომბაინის, 5 სატვირთო ავტომანქანის, შესაბამისი მომსახურე ტექნიკისა და 19 მექანიზატორის შემადგენლობით. ამ რგოლმა კარგად იშრომა ჩვენთან, მალე საქმეს მორჩებიან წალკის რაიონში და მერე ალბათ ბოგდანოვკაში გადაინაცვლებენ.

„საქსასოფლტექნიკის" დახმარებით რაიონში მუშავდება ორი უგანრიგო ბრიგადის შექმნის საკითხი.

ამ ღონისძიებების შედეგად ერთი პირობითი ტრაქტორის დატვირთვა 1224 ჰექტარიდან 1378-მდე გაიზრდება და ერთი ეტალონური ჰექტარის დამუშავების ღირებულება 5,40 მანეთიდან 4,64 მანეთამდე შემცირდება.

1982 წელს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად თეთრი წყაროს რაიონისათვის შემუშავებულ იქნა სოფლის მეურნეობის მუშაკთა მატერიალური დაინტერესების პროგრესული ფორმები, რომლებიც ფულად ანაზღაურებასთან ერთად ნატურანაზღაურებასაც ითვალისწინებენ.

— და კიდევ რა საქმეებით შეეშველებით სასურსათო პროგრამის განხორციელებას?

— წლეულს დამთავრდება მარაბდის მეხორცეობის კომპლექსი 5 ათასი დედა ბოცვრისათვის. კოდის მეფრინველეობის ფაბრიკას შეემატება 3 საფრინველე სადედე გუნდისთვის და ერთი საინკუბატორო სადგური. სამეურნეო წესით ფართოვდება მშენებლობის მოცულობა. 1980 წელს თუ ამ მიზნით 204 ათასი მანეთი ავითვისეთ, წლეულს გათვალისწინებულია 1900 ათასი მანეთის ათვისება. ამ წესით წლეულს რაიონს შეემატება მეცხოველეობის 22 ობიექტი.

თეთრი წყაროს რაიონის მშრომელები ეძიებენ, პოულობენ და იყენებენ რეზერვებს. რაიონის მოსახლეობასთან კოოპერირების გზით წლეულს დამზადდება 500 ტონა რძე და 80 ტონა ღორის ხორცი.

სამეურნეო წესით მშენებლობა გაიშალა ჩვენივე საშენი მასალების გამოყენებით. მეცხოველეობის ობიექტები ძირითადად შენდება პერიფერიებში არსებულ სოფლებში ადგილობრივი სათიბ-საძოვრებისა და მუშახელის უფრო ეფექტიანად გამოყენების მიზნით.

გათვალისწინებულია 400 სული დედა თხის შემოყვანა წინწყაროსა და თეთრწყაროს საბჭოთა მეურნეობებში დღემდის გამოუყენებელი ბუჩქნარი საძოვრების ასათვისებლად. ამისათვის ბოსლები უკვე აღვადგინეთ.

წლეულს კოდისა და მარაბდის საბჭოთა მეურნეობებში, აღვადგინეთ მეღორეობის ფერმები და შემოვიყვანეთ 130 სული ჯიშიანი ნეზვი. მეღორეობის ფერმა უნდა აღვადგინოთ აგრეთვე მანგლისის საბჭოთა მეურნეობაში.

რაიონის სამ მეურნეობაში გათვალისწინებულია მეფრინველეობის ფერმების აღდგენა. მშენებლობა უკვე მიმდინარეობს.

რეზერვების ძიება მარტო სადღეისო მოვალეობა არ არის. იგი ჩვენთვის ისეთივე საქმედ გადაიქცა, როგორც ხვნაზე და თესვაზე ფიქრი და მუშაობა. ასე, რომ ცხოვრება წინ არის. ვფიქრობთ სულ უფრო მეტი დოვლათი შევმატოთ სამშობლოს.

საუბარი ჩაიწერა
ჯ. ქურხულმა.

ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის კასრისწყლის განყოფილებაში დაიწყო საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესვა.

მოწინავე მექანიზატორები ალექსანდრე გრაბოვი, კარლო ქაძე, ვისერ აბულაშვილი, გულო გულიევი, იმრან ყურბანოვი, ანატოლი ნარიტოვი და სხვები ყოველდღიურად გეგმით გათვალისწინებული 10 ჰექტარის ნაცვლად 14-16 ჰექტარზე თესავენ ხორბალს.

● ●

სურათებზე: მოწინავე მექანიზატორი სასოფლო საბჭოს დეპუტატი ალ. რიაბოვი; მიმდინარეობს ხორბლის თესვა.

ვ. ბენბიურის ფოტო.



საფუძველს უყრიან მომავალი წლის მოსავალს



მექანიზატორთა დამხმარე მეურნეობა

რთული და პასუხსაგები ამოცანები აქვთ გადასაწყვეტი დღეს სისტემის მშრომელებს. მათ შორის, განსაკუთრებით დაძაბულ ყურადღებას მოითხოვს პროდუქციის წარმოების ზრდის ყველა რეზერვისა და შესაძლებლობათა ძიება და ამოქმედება. ამასთან დაკავშირებით წინა პლანზეა წამოწეული „საქსასოფლტექნიკის" საწარმოებისა და ორგანიზაციების დამხმარე მეურნეობათა ქსელის ყოველმხრივი გაფართოება.

სოფლტექნიკის სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებში უკვე დაგროვდა საკმაო და სასარგებლო გამოცდილება. კერძოდ, ყურადღებას იმსახურებს ბოლნისის რაისოფლტექნიკის საქმიანობა. აქ ჯერ კიდევ 1980 წელს მშრომელთა ძალებით, საერთო-სამეურნეო ფონდების ანგარიშზე შეიქმნა დამხმარე მეურნეობა სასურსათო პროდუქტებით მუშა-მოსამსახურეთა ნაწილობრივ დასაკმაყოფილებლად. შარშან მეურნეობამ აწარმოვა 7.275 კილოგრამი ხორცი და 20 ტონაზე მეტი რძე. რძის რეალიზაცია რაისოფლტექნიკის სასადილოს მეშვეობით ხდება. მძიმე სამუშაოზე დასაქმებულებსა და დამხმარე მეურნეობის მუშებს დღეში ლიტრი რძე უფასოდ ეძლევათ. წლის ექვს თვეში უკვე აწარმოეს 18 ტონა რძე, სახელმწიფოს მიჰყიდა 3 ტონა ხორცი, ხოლო მუშა-მოსამსახურეებს — 2 ტონა. გარდა ამისა მეურნეობას აქვს ხეხილის ბაღი, ჰყავს 100 სკა ფუტკარი, მალე ბოსტნეულის მოსაყვანად სათბურს მოაწყობენ.

ბოლნისის რაისოფლტექნიკის (მმართველი ზ. შახბაზოვი) დამხმარე მეურნეობის მუშაობის გაცნობამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა მისი შექმნის ეფექტიანობაში. შრომითი დანახარჯები მთლიანად ანაზღაურებულია, შარშან მოგებამ 1.000 მანეთი შეადგინა.

ბოლნისელთა გამოცდილება ერთადერთი როდია. დამატებითი პროდუქციის წარმოების ამ უშრეტი წყაროს გაფართოებას სერიოზულად ეკიდებიან სიღნაღის რაისოფლტექნიკაშიც. მეურნეობამ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე აწარმოვა 22 ტონა ხორცი, აქედან 17 ტონა მიჰყიდა სახელმწიფოს, ხოლო 5 ტონა — კოლექტივის მშრომელებს. ამჟამად მიმდინარეობს გამოუყენებელი შენობების რეკონსტრუქცია 200 სული ღორისა და 2000 ფრთა ქათმის ფერმების მოსაწყობად. უახლოეს დროში აქ შეიძენენ 20 დეკეულსა და 500 ცხვარს, 10 ჰექტარზე მიმდინარეობს სატბორე მეურნეობის მშენებლობა თევზის მოსაშენებლად. დამხმარე მეურნეობის მფლობელნი მომავალ წელს აწარმოებენ 9 ტონა ხორცს, 26 ტონა რძეს, 100.000 ცალ კვერცხს, 8-10 ტონა თევზს.

დამხმარე მეურნეობის განვითარების საქმეში არც გურჯაანის რაისოფლტექნიკის კოლექტივი ჩამორჩება. გასულ წელს აქ აწარმოეს 5 ტონა ხორცი, თანამშრომლებს მიჰყიდეს — 2,5 ტონა. რაისოფლტექნიკის სასადილოში მშრომელებს უფასოდ ეძლევათ კიტრი, პამიდორი, მწვანილი, ლობიო, კარტოფილი და სხვა ბოსტნეული.

დამხმარე მეურნეობათა შემდგომი განვითარება კომიტეტის ყურადღების ცენტრშია. მთავარი ის არის, რომ მეურნეობები გადაიქცნენ მაღალეფექტიან მექანიზებულ მეურნეობებად, რომლებიც სარგებლობენ ძირითადი წარმოების შრომითი და მატერიალური რეზერვებით. ამასთანავე, როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმზე აღინიშნა, რაისოფლტექნიკებს დამხმარე მეურნეობათა მოსაწყობად უნდა გამოეყოთ პროდუქციის წარმოებისათვის გამოუყენებელი მიწები, რათა მიტოვებული მიწის ნაკვეთები გაკულტურდეს და 4-5 წლის შემდეგ დაუბრუნდეს მეურნეობას საექსპლოატაციოდ. ამრიგად, „საქსასოფლტექნიკა" 1986-87 წლებიდან შეძლებს ყოველწლიურად სოფლის მეურნეობას დაუბრუნოს 2.000-2.500 ჰექტარი აღდგენილი მიწები.

„საქსასოფლტექნიკის" სისტემის საწარმოები და ორგანიზაციები ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ აქედანვე შეიტანონ კონკრეტული წვლილი ქვეყნის სასურსათო პროგრამის განხორციელების საქმეში.

რ. აბაჯევა,
„საქსასოფლტექნიკის" პრესცენტრის ჯგუფის ხელმძღვანელი.

თრიალეთური მწყემსური

ვინ დასწვდება ჩემეულ კომბალს?

თრიალეთზე ასული თავფარავნის მოკამკამე ტბას რომ დაინახავ, იტყვი, ეს ამოდენა წყალი ამ სიმაღლეზე რამ ამოიყვანაო. ამ ტბის გარშემო, საიდანაც კი თვალი გადასწვდება, სულ საზაფხულო იალაღებია.

მარნეულის რაიონის ლომთაგორის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობას 20 ათასი სული ცხვარი ჰყავს თრიალეთზე. ახლა ჩვენ მეცხრე ბრიგადაში ვართ. გვესაუბრება ვეტსპეციალისტი ახანგულ კარაევი:

წარსული ზამთარი ცუდი იყო. როგორც ცნობილია, თითქმის ყველგან დაზარალდა ცხვარი. აი, ზაფხული კი კარგი გვქონდა. ბალახი მშვენიერად მოდიოდა და ცხვარიც თავს კარგად გრძნობდა. ამან არ შეიძლება კარგი შედეგი არ მოგვცეს. ცხვარიც და ნამატიც გალაღებულია. ამიტომ, ვფიქრობთ, გეგმით გათვალისწინებულზე მეტ მატყლს მივიღებთ. იმ დღეს ჩემი საკუთარი ცხვარი დავპარსე და თითოზე 1,5 კილოგრამი მატყლი მივიღე, თითო ბატკანზე კი 1.100 გრამი მატყლი ჩამოვპარსე. უკვე ვიწყებთ მასიურ პარსვას და ვიცით, რომ ამ საქმეში თავს არ შევირცხვენთ.

სიღნაღის რაიონის ბოდბისხევის კოლმეურნეობის მეცხვარეობის მესამე ბრიგადას 1500 სული ცხვარი ჰყავს. ფარის ორი მწყემსი ბინაზე დაგვიხვდა. ვსაუბრობდით და, ცოტა არ იყოს, გაგვიჭირდა ერთი ახალგაზრდა მეცხვარის ეროვნების გამოცნობა. ქართველს თითქოს არ ჰგავდა, ქართულად კი კარგად ლაპარაკობდა. როცა მისი სახელით დავინტერესდით, — ელიზბარი მქვიაო, — გვითხრა. ქართველი ყოფილა — გავიფიქრეთ, მაგრამ როცა გვარიც გვითხრა, დავრწმუნდით, რომ აზერბაიჯანელი კაცი იყო. რა გიკვირთო? — აქეთ შეგვეკითხა მეცხვარე, — გასულ საუკუნეში ალექსანდრე ყაზბეგი ფრანგულად ელაპარაკებოდა ცხვარში მისულ უცხოელთ, მე საქართველოში დავიბადე, ქართულად დავამთავრე საშუალო სკოლა და ქართული რომ კარგად ვიცოდე, საკვირველიაო?!

რაღა გვეთქმოდა. გვესიამოვნა აზერბაიჯანელი ვაჟკაცის ამგვარი ინტერნაციონალური სულისკვეთება, რომელიც გაჟღენთილი იყო იმ მიწის და ადამიანების პატივისცემითა და სიყვარულით, სადაც ელიზბარ ბათიოღლი დაიბადა.

— შარშანდელმა ზამთარმა კი დაგვაზარალა, მაგრამ ზაფხულში სული მოვითქვით, —გვეუბნება ელიზბარი — წელს შედარებით ადრე დაიწყო სიცივეები, მალე დავიძვრებით ბარისკენ. ივრისპირას ვიზამთრებთ ხოლმე. ცოლ-შვილსაც ჩავხედავ...

18 ათასი სული ცხვარი ჰყავს სიღნაღის რაიონის ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას. აქ ბევრი სახელოვანი მეცხვარე შრომობს. აი, თუნდაც სიკა ლეკიაშვილი. სიკას პაპას ჯერ კიდევ საქართველოს გასაბჭოებამდე აუღია ხელში კომბალი. მაშინ ორი წლის ბიჭი ყოფილა. მას შემდეგ 63 წელიწადი გავიდა, და ეს კაცი დღენიადაგ ცხვარშია.

ბოდბიდან ომში სხვებთან ერთად 50 მეცხვარე ვაჟკაცი წასულა. ზოგი მათგანი აღარ დაბრუნებულა.

— რამდენჯერა ვთქვი, სადაც ცხვარს ვპარსავთ, იმ ბიჭების მოსაგონრად პატარა ობელისკივით რაღაც გავაკეთოთ-მეთქი. დამეთანხმებიან ხოლმე, ჯერ კი თავი ვერ მოვაბით ამ საქმეს, — სინანულით ამბობს ძველი მეცხვარე. — აგერ იოსებ კოჭლამაზაშვილიც ომის ცეცხლში გამოვლილი კაცია.

— მეცხვარე ვიყავი, ომში რომ წამიყვანეს, როსტოვიდან დავიწყე და ბერლინამდე ჩავედი. ხან ფეხით მივდიოდი, ხან ტანკით. 1945 წლის ნოემბერში დავბრუნდი ოჯახში და ისევ ცხვარში წამოვედი. მას მერე სულ აქა ვარ, — ამბობს იოსებ კოჭლამაზაშვილი.

გულღიად საუბრობდნენ მოხუცი მეცხვარეები. ახლა ამირან კოჭლამაზაშვილი გაიხსენეს — ამ გაზაფხულზე ჯერ კიდევ ბარში ვიყავით, ჩათმაში ცხვარს ედგა. ეგრევე გადავარდა და უცებ მოკვდა 52 წლის ვაჟკაცი.

— წუთისოფლის გზაზე ბევრი განსაცდელი გამოვიარეთ, — ამბობს სიკა პაპა, — ამ ქვეყნის სიხარულიც და გაჭირვებაც ჩვენთან ერთად ბრუნავდა. ბედს არ ვემდურით. კარგად, გამართულად ვცხოვრობთ. არაფერი გვაკლია. „ქიგული" გამომიყვეს, მაგასაც მისცეს, იოსებს. იოსებს და კიდევ ჩვენს ბრიგადირს ომან კოჭლამაზაშვილს.

— ბევრნი ყოფილხართ კოჭლამაზაშვილები.

— ბევრნი ვართ, მაშ. 250 კომლი ვიქნებით. 250 ოჯახი კიდევ მთელი სოფელია. — კმაყოფილებით ამბობს სიკა კოჭლამაზაშვილი.

— სიკა პაპა, სულ კარგზე ელაპარაკობთ, მაგრამ მეჩვენება, რომ რაღაც გულნაკლულად ხართ.

— იქნებ, ეგრეც არის, სულ მგონია ხოლმე, რომ ცხვრის სიმდიდრეს კარგად ვერ ვიყენებთ. ერთი მეწველი ცხვარი სამ კილოგრამ ყველს უნდა გვაძლევდეს, მაგრამ არ გვაძლევს. ვერ ვწველით და იმიტომ. მწყემსები არ გვყოფნის. ახალგაზრდებს ცხვარში წასვლა არ უნდათ. დაქირავებულ ხალხს კიდევ რა ხელგარჯილობა უნდა ჰქონდეს? როგორღა ვეძიოთ რეზერვები, თუ, რაცა გვაქვს, იმ სიმდიდრესაც ვეღარ ვიყენებთ?

ერთხელ, ამ რამდენიმე წლის წინათ, გავბრაზდი და ჩემი სათქმელი სახალხოდ განვაცხადე. რა ვიცი, ბევრი მილაპარაკია. სწორს კი ამბობდიო, მითხრეს. კაცო, ის ნაბდები და ლაბადები რა არის, ვისთვის იკერება, კაცებისთვის თუ ჯუჯებისთვის? მეცხვარე იმათ ვერ გამოიყენებს და... სხვაც ბევრი ვთქვი.

სიღნაღში ლაბადები და ნაბდები არ იკერება, ჩვენ რა გვექნა? ამ ბოლო ხანს, თითქოს ოდნავ დააგრძელეს ჩვენი სამოსი, მაგრამ მაინც ცუდია და უხარისხო.

— ხანდახან თითქოს პატარა ბიჭი ვიყო, ისეთი წადილი მომივლის, დავდგე სადღაც მთაზე და ქვეყანას გავძახო — რა გემართებათ, ხალხნო! ჩვენ-ჩვენი საქმე ყველამ ალალად ვაკეთოთ, გავისარჯოთ, თორემა ეს ზიკზიკა „ჟიგულები" და ბეჭის არხეინად ტრიალი შორს ვერ წაგვიყვანს-მეთქი.

ხან იმასაც გავიფიქრებ ხოლმე — ზოგჯერ ბებერმა აბეზრობა იცის, მიზეზიანობა, ეგეთი ხომ არ გავხდი-მეთქი?

63 წელია თრიალეთში დავდივარ (ოღონდ ომის წლები უნდა გამოვაკლოთ) და თავფარავნის ტბას გადავყურებ. მე კიდევ ვეელი, გული მერჩის და მუხლსაც არ უღალატია ჩემთვის. მაგრამ როგორც ყოველმა ასაკში შესულმა კაცმა, მეც მშვენივრად ვიცი, რომ ერთხელაც იქნება გავჩერდები და კომბალი ხელიდან გამივარდება!

— ვინ დასწვდება ჩემეულ კომბალს?

ჯ. გარეჯელი.

მტკიცე მშვიდობის გულწრფელი სურვილი

საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მოლაპარაკება საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრშია

საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მოლაპარაკება, სიტყვები, რომლებითაც მიმართეს ერთმანეთს კრემლში გამართული საუბრის დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა და ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ჩიონგ ტინმა, საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირმა და ვიეტნამის სოციალისტურმა რესპუბლიკამ ცხადყვეს დიდი პასუხისმგებლობა კაცობრიობის ბედ-იღბლისათვის, გადაჭრით გაილაშქრეს იმპერიალიზმის, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული ძალების ხრიკების წინააღმდეგ, მხარი დაუჭირეს დაძაბულობის შენელებას, გამალებული შეიარაღების თავიდან აცილებას, მშვიდობის განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მოლაპარაკებას დიდ ყურადღებას უთმობს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის პრესა. ჰანოის გაზეთები **„ნიან ზანი" და „კუან დოი ნიან ზაანი"** პირველ გვერდებზე აქვეყნებენ ცნობებს ამ მოლაპარაკების შესახებ. ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ გადასცა ლ. ი. ბრეჟნევისა და ჩიონგ ტინის სიტყვების სრული ტექსტი. მოსკოვში გამართული საუბრების შედეგია ახალი კონკრეტული წვლილი საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის ურთიერთობის განვითარებაში, რომელსაც ფართო პერსპექტივები ესახება, აღნიშნავს სააგენტო.

საერთაშორისო საკითხების განხილვისას, წერს **„ნოიეს დოიჩლანდი"** (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), ხაზგასმით აღინიშნა, თუ რაოდენ საჭიროა ომის საფრთხის თავიდან აცილება, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური პოლიტიკის შედეგად გაიზარდა. სსრ კავშირისა და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მოლაპარაკებამ დაადასტურა ორი ქვეყნის შეხედულებებისა და მიზნების ერთიანობა.

საბჭოთა კავშირმა კვლავ ახალი ძალით დაადასტურა მშვიდობისმოყვარული ხასიათი თავისი საგარეო პოლიტიკისა, რომელიც ქვეყნად მშვიდობის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად, გადასცემს **ავღანეთის ეროვნული რადიო და ტელევიზია.** საბჭოთა კავშირი გულწრფელად უსურვებს აზიის ხალხებს მტკიცე მშვიდობას.

ლ. ი. ბრეჟნევმა, აღნიშნავს ამერიკის საინფორმაციო სააგენტო **ასოშიეიტედ პრესი,** მკვეთრად გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატები და აღნიშნა, რომ მსოფლიო ვითარება სახიფათოდ გართულდა გამალებული ბირთვული შეიარაღების ახალი, არნახული დაჩქარებისა და იმ „ჯვაროსნული ლაშქრობის" გამო, რომელიც რეიგანის ადმინისტრაციამ გამოაცხადა სოციალიზმის წინააღმდეგ.

სირიის სააგენტო **სანა** ხაზგასმით გამოყოფს ლიბანში ისრაელის ბარბაროსული აგრესიის დაგმობას სსრ კავშირისა და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მიერ. საბჭოთა კავშირმა და ვიეტნამმა ვაშინგტონს დააკისრეს პასუხისმგებლობა ისრაელ დამპყრობთა დანაშაულობებისათვის, რომლებიც მთელმა მსოფლიომ დაგმო.

იაპონიის გაზეთი **„ასახი"** გამოთქვამს აზრს, რომ ჩინეთთან ურთიერთობის მოსაწესრიგებლად საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის მიერ გადადგმული ნაბიჯები დიდ ზეგავლენას მოახდენენ მთლიანად აზიაში შექმნილ ვითარებაზე. სსრ კავშირი და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა გულწრფელად არიან დაინტერესებულნი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებით.

საერთაშორისო ... ცხოვრება

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ფაქტები მოვლენები

9 ოქტომბერი

● ფინეთი

ქართული ფილმების კვირეული

ჰელსინკი. აქ დედაქალაქის კინოთეატრ **„კოსმოსში" გაიხსნა ქართული ფილმების კვირეული, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს ეძღვნება.** კვირეულის პროგრამაში შედის ქართველ კინემატოგრაფისტთა ისეთი ნამუშევრები, როგორიც არის „ჯარისკაცის მამა", „ხევსურული ბალადა", „ფიროსმანი", „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე", „შერეკილები", „არ დაიდარდო", „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი".

● იაპონია

მასობრივი პროტესტი

ტოკიო. აქ გაიმართა მასობრივი საპროტესტო მიტინგი იმის გამო, რომ იაპონიის ლიბერალ-დემოკრატთა მთავრობა ანტიხალხურ პოლიტიკას ახორციელებს. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო შვიდი ათასზე მეტმა გლეხმა, რომლებიც დედაქალაქში ქვეყნის სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოვიდნენ. მიტინგზე გამოსვლისას სრულიად იაპონიის გლეხთა კოოპერატივების კავშირის თავმჯდომარემ სიძუმა ივამოტომ თქვა, რომ ვაშინგტონის ძალდატანებით ხელისუფალთა მიერ განხორციელებული ამერიკის სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის გაფართოება აღრმავებს იაპონელი გლეხების ისედაც მძიმე მდგომარეობას.

მიტინგის მონაწილეებმა საპროტესტო დემონსტრაცია გამართეს ქვეყნის პარლამენტისა და მთელი რიგი მთავრობის დაწესებულებების წინაშე.

შრომა და კაპიტალი

ოტავა. უმუშევრობამ კანადაში 30-იანი წლების „დიდი დეპრესიის" დროიდან რეკორდულ დონეს მიაღწია.

კანადის სტატისტიკური ბიუროს მონაცემებით, ამჟამად მილიონ 343 ათას კაცს — ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის 12,8 პროცენტს — სამუშაო არა აქვს. შარშან სექტემბრიდან გაუქმდა 487 ათასი სამუშაო ადგილი. კანადის ქალაქებს შორის უმუშევრობის საძრახისი „რეკორდი" ეკუთვნის ქვეყნის უდიდეს მეტალურგიულ ცენტრს — სადბერის, სადაც უმუშევარია შრომისუნარიანი მოსახლეობის 32,9 პროცენტი.

დემოგრაფია

მაპუტუ. მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის მოსახლეობამ ამჟამად 12 მილიონ 130 ათასს მიაღწია. ამის შესახებ რესპუბლიკის სახალხო ასამბლეის სესიას აცნობა ასამბლეის მუდმივი კომისიის მდივანმა მარსელინუ დუშ სანტუშმა.

დამასკო. სირიის მოსახლეობამ 1981 წლის დამლევისათვის 10 მილიონ 420 ათასს მიაღწია. ქვეყნის დედაქალაქ დამასკოში მილიონ 20 ათასი მცხოვრებია.

ამას თვითონ აღიარებენ

დროა ვთქვათ: „კმარა!"

სან-ფრანცისკო. კალიფორნიის გუბერნატორმა ე. ბრაუნმა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ბრალად დასდო მასობრივი მოსპობის იარაღის მარაგის დაუოკებელი გადიდება. სან-ფრანცისკოში გამოსვლისას მან განაცხადა, რომ ამერიკის სამხედრო პოტენციალმა უკვე მიაღწია საშიშ დონეს.

„დროა ვთქვათ: „კმარა!" — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე მრავალრიცხოვანი შტატის გუბერნატორმა. სწორედ ამას მოწმობს ამერიკელთა ჭეშმარიტად მასობრივი მოძრაობა ბირთვული იარაღის გაყინვის ინიციატივის მხარდასაჭერად, ინიციატივისა, რომლის მიზანია შეჩერდეს კატასტროფისაკენ სწრაფვა.

ე. ბრაუნმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესი სამხედრო ხარჯების ზრდას შედეგად მოსდევს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გამწვავება. რეიგანის ადმინისტრაცია ასმილიარდობით დოლარს ახმარს მასობრივი მოსპობის საშუალებათა არსენალის უპრეცედენტო გადიდებას, ამის შედეგად კი ქვეყანაში იზრდება უმუშევრობა.

„უაღრესად საშიში" და „უგუნური" უწოდა ვაშინგტონის ახლანდელი ადმინისტრაციის ბირთვული შეიარაღების პოლიტიკას ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრმა კალიფორნიის შტატიდან რ. დელემსმა.

ახლანდელ ადმინისტრაციას, წერს იგი გაზეთ „დეილი კალიფორნიენში" გამოქვეყნებულ სტატიაში, ეცოტავება ის ათიათასობით ბირთვული საბრძოლო მუხტი, რომლებიც უკვე არის ამერიკის არსენალში. მან განკარგულება გასცა მიმდინარე ათწლეულის დამლევამდე დამატებით აწარმოონ კიდევ 17 ათასი ბირთვული მუხტი. ისეთი სისტემების განვითარება, როგორიც არის „პერშინგ-2" რაკეტები, სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ბაზირების ფრთოსანი რაკეტები, გვიბიძგებს გამალებული ბირთვული შეიარაღების ახალი ეტაპისაკენ, რაც არსებითად ამცირებს ბირთვული ძალების გაყინვისა და შემდგომი შეწონასწორებული შემცირების პერსპექტივებს.

რ. დელემსმა მოიწონა ამერიკის შეერთებული შტატების მთელ რიგ შტატებსა და კოლუმბიის ფედერალურ ოლქში ამომრჩეველთა რეფერენდუმზე გატანილი ბირთვული იარაღის არსენალის გაყინვის წინადადების მხარდაჭერა. საკითხი გამალებული ბირთვული შეიარაღების შეწყვეტის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა გადაწყდეს, განაცხადა კონგრესმენმა.

მილიტარისტული სამზადისი

დელი. პაკისტანის სამხედრო რეჟიმი აჩქარებს მილიტარისტულ სამზადისს ინდოეთის საზღვრებზე. როგორც იუნის სააგენტო იუწყება, პაკისტანის შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარემ მოჰამედ იკბალ ხანმა მოაწყო „საინსპექციო მოგზაურობა" ინდოეთის ჯამუსა და ქაშმირის შტატის ნაწილში, რომელიც უკანონოდ აქვს ოკუპირებული პაკისტანს. იგი ამოწმებდა ამ სტრატეგიული მნიშვნელობის რაიონში განლაგებული ჯარის ნაწილების საბრძოლო მზადყოფნას.

ინდოეთის საზღვრებზე პაკისტანის სამხედრო აქტიურობა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ქვეყანაში. აქ მიმდინარე პარლამენტის სესიაზე გამოსვლისას ინდოეთის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა ა. ა. რაჰიმმა, კერძოდ, აღნიშნა, რომ ქვეყნის მთავრობა შეშფოთებულია, რადგან პაკისტანი იყენებს ჯამუსა და ქაშმირის ოკუპირებულ ტერიტორიაზე გაყვანილ სტრატეგიულ ყარაყორუმის გზატკეცილს და ახლახან აამოქმედა მისი ახალი უბანი ქუნჯერაბის უღელტეხილის რაიონში.

ფოტოკალეიდოსკოპი

შეტანილია გინესის წიგნში

გინესის რეკორდების წიგნი სავსეა უჩვეულო ციფრებით, ფაქტებით, შემთხვევებით და საერთოდ ადამიანის უგუნურების ქრონოლოგიურ მატიანეს წარმოადგენს. ასეთი კროსვორდი შეადგინა პარიზის მკვიდრმა, რომელსაც რამდენიმე თვის დაძაბული შრომა დასჭირდა (სურათზე ზემოთ).

კეისტონ-საქდესის ფოტო.

● ●

საინტერესოა, რამდენი ხანი დასჭირდა შოტლანდიელ ჯ. როის, მსოფლიოში ყველაზე გრძელი ულვაში რომ გაეზარდა? თუმცა ამას ახლა არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ „წარმატება", რომელიც მან ავსტრიაში გამართულ ყოველგვარ „მიღწევათა ჩემპიონატში" მოიპოვა, შეტანილია გინესის რეკორდების წიგნში. „ულვაშა" შოტლანდიელმა საგონებელში ჩააგდო მეტოქენი, ვინაიდან მათ „რეკორდის" მოსახსნელად 174 სანტიმეტრზე უგრძესი ულვაშის გაზრდა მოუწევთ.

აპ-საქდესის ფოტო.

...კასიისათვის ბრძოლის 40 წლისთავი

...ტიის ნოვოროსიისკის საქ... კომიტეტმა, სახალხო... ტატთა საქალაქო საბჭოს ...კომმა, გმირი ქალაქის ...მელებმა გულთბილი შეხვე... მოუწყვეს ნოვოროსიისკის სახელგანთქმულ მებრძო... საპატიო სტუმრებს. აქ ...იბნენ ისინი, ვინც მკერდით ... სამშობლოს, ვინც ნოვ... ...ისათვის გაჩაღებულ [illegible]

საკომანდო პუნქტებში სათუთად და ლამაზად ინახება ნივთები, ლ. ი. ბრეჟნევის საბრძოლო მოღვაწეობასთან რომ არის დაკავშირებული. აქ არის მისი მაზარა პოლკოვნიკის სამხრეებით და სხვა პირადი ნივთები, დურბინდი, უბრალო ფიცრებით გაკეთებული მაგიდა, ზამბარებიანი რკინის საწოლი.

მცირე მიწაზე, ისევე როგორც [illegible]

[illegible]

მარად დაუვიწყარი

[illegible]

[illegible]

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

აბაშის რაიონული გაზეთის „განახლებული აბაშის" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად რაიონის შრომითი კოლექტივების დარაზმვაში აქტიური მონაწილეობისათვის და პირველი ნომრის გამოსვლის 50 წლისთავთან დაკავშირებით აბაშის რაიონული გაზეთი „განახლებული აბაშა" დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი.
1982 წლის 5 ოქტომბერი.

საინტერესო ცნობარი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სარედაქციო საგამომცემლო საბჭოს დადგენილების თანახმად, გამომცემლობა „მეცნიერებამ" გამოსცა წიგნი: [illegible]

...გალითები იმ შეცდომების შესახებ, რომლებიც სახელმწიფო ექსპერტიზამ და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა დაუშვეს ტექნიკურ დოკუმენტაციებში.

შ. ნაფეტვარიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საპატენტო ბიუროს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;

თ. სალია,
საკავშირო ჟურნალ „რაციონალიზატორ ი იზობრეტატელის" კორესპონდენტი.

დროშა ...ირსეულთ

...ერთიანება სამტრესტის მა... ...ვსკის ღვინის ქარხანათა ...რთველოს მთავარი კომბინა... ...ერთიანებს ისეთი მდიდარი ...ულისა და ტრადიციების სა... ...ოებს, როგორიც არის ვარ..., დიმის, ობჩისა და წი... ...იხევის ქარხნები.

...მართველოს შრომისმოყ... კოლექტივი არც ამჯერად ...ტობს სახელოვან ტრადიცი... ამის დასტურია ახლახან ...ბული საპატიო ჯილდო — ...რესტისა და კვების მრეწვე... ...ის მუშაკთა პროფკავშირების ...უბლიკური კომიტეტის გარ... ...ვალი წითელი დროშა, რო... [illegible]

გამოფენა „საწყობი-82"

თითქმის ორ კვირას იყო ჩვენს დედაქალაქში საერთაშორისო გამოფენა, რომელსაც პირობითად „საწყობი-82" ეწოდა. აქ ფართოდ იყო წარმოდგენილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წამყვანი ფირმების ნაწარმი.

მართალია, გამოფენა სრულ წარმოდგენას ვერ გვიქმნიდა ამ ქვეყნის სამრეწველო მასშტაბებზე, მაგრამ ცალკეული ექსპონატებითაც მიხვდებოდა კაცი, თუ რა მიღწევები აქვს სადღეისოდ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას.

გამოფენაზე წარმოდგენილი ნაწარმი გამოირჩეოდა მრავალფეროვნებითა და დიდი გემოვნებით, რომელიც შექმნილია ტექნიკის უახლესი მიღწევების გათვალისწინებით. ამიტომაც არის, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაწარმი ასე ფართოდ იგზავნება აზიისა და აფრიკის, ევროპისა და ამერიკის მრავალ ქვეყანაში; მაგრამ ყველაზე მჭიდრო ურთიერთობა, როგორც უკვე ვთქვით, საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის არის დამყარებული.

მსგავსი გამოფენა, რომელიც პირველად ვიხილეთ თბილისში, არაერთხელ მოწყობილა მოსკოვსა თუ ტალინში, მინსკსა თუ ტაშკენტში, ბაქოსა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში.

თბილისში გამართული ეს საერთაშორისო გამოფენაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საქართველოსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სავაჭრო ურთიერთობის შემდგომ აღმავლობას.

სამრეწველო, სამთო, სამშენებლო თუ სხვადასხვა სახის მანქანა-დანადგარებმა ნათელი წარმოდგენა შეუქმნა მნახველს იმ დიდ ძვრებზე, რომლებსაც ბოლო 33 წლის მანძილზე მიაღწია გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ.

სწორედ ამას და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა მიღწევათა ფართო პროპაგანდას მიეძღვნა პრესკონფერენცია, რომელიც გაიმართა საგამოფენო დარბაზში. სტუმრებმა ილაპარაკეს იმ მიზნებზე, რომლებიც სამომავლოდ დაუსახავს მათ ფირმებსა თუ ცალკეულ საწარმოებს, თანამედროვე ტექნიკის, მანქანა-დანადგარების, საწარმოო პროფილაქტიკის, კომპლექსური მოწყობილობების და იმ მეცნიერული ურთიერთობის შესახებ, რომელიც დამყარებულია ორ ქვეყანას შორის და რაც ასე უწყობს ხელს მათი მრეწველობის საერთო განვითარებას.

კონფერენციის შემდეგ მოეწყო „რდკ-160-2" მუხლუხა სრულბრუნვიანი ამწე მანქანის საზეიმო გადაცემა, რომელიც რიგით 2500-ეა საბჭოთა ქვეყანაში და „საქელექტრომონტაჟმშენის" ტრესტის შეკვეთით დამზადდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

თბილისელები და ჩვენი დედაქალაქის სტუმრები გაუნელებელი ინტერესით გაეცნენ გამოფენას.

ც. სიხარულიძე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტში

ამ დღეებში მოსკოვში აკადემიკოს ა. პ. ალექსანდროვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის პლენუმი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის თვალსაჩინო მეცნიერები და სპეციალისტები.

პლენუმმა განიხილა 1982 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების მოპოვებისათვის კონკურსის მონაწილე ნამუშევრები და მათი საზოგადოებრივი განხილვის შედეგები.

აღორძინებულ სოფელს—ახალი სკოლა

წყლის ორი წვეთივით ჰგავს ერთმანეთს სამცხელი და აჭარელი კაცის ბედი. როგორც სამცხეში, ისე აჭარაშიც ნახევარმთვარე ... [illegible]

ცხელსაც და აჭარელსაც საუკუნეების მანძილზე ერთნაირი ტკივილით სტკიოდა გული და ერთნაირი წუხილით წუხდა. მხოლოდ თავგანწირულმა ბრძოლამ და ... [illegible]

ოცდაათამდე ოჯახმა უკვე იზეიმა ახალმოსახლეობა. დანარჩენებსაც სულ მალე მზად ექნებათ ახალი ორსართულიანი სახლები. [illegible]

საშუალო სკოლის მშენებლობა კი სამირკვლის ჩაყრის შემდეგ დაეკონსერვებინათ. ამიტომ რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების მხარდაჭერით სასწრაფოდ განახლდა მისი მშენებლობა.

სიტყვა საქმით ... [illegible]

შ. მაისურაძე,
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი.

ირაკლი აბაშიძე

ციკლიდან: „მონოლოგი აჩრდილებთან"

ამ ჩემთვის თქმულ სტრიქონებს შენს უკვდავ ხსოვნას ვუძღვნი გალაკტიონ, შენს ოთხმოცდამეათე დღეობაზე.

მხოლოდ იმ ერთის...

პოეტს ყველაფრის,
პოეტს ყველაფრის,
ზეცამ ყველაფრის მისცა უფლება:
კრივში დანდობის,
თასზე ხელ-აკვრის...
პოეტი — ფრენა და ჩამუხლება.

პოეტს ყველაფრის,
პოეტს ყველაფრის,
ზეცამ ყველაფრის მისცა უფლება:
ლოცვა ხელადის,
კიცხვა კელაპტრის...
პოეტი — ხოტბა და დაუბრება.

უფლება რისხვის, დაუზოგავის,
უფლება ხვევნის,
შეშლილ ამბორის;
სამეფო ენის თუ კილოკავის,
აშკარა სიტყვის თუ მეტაფორის,

თმენის, ლოდინის,
დარდის, იმედის,
ცრემლის, შიმშილის,
ოქროს კალათის...
მხოლოდ იმ ერთის,
მხოლოდ იმ ერთის,
პოეტს უფლება არ აქვს ღალატის.

საუკუნე მიდის მეოცე

«Что войны, что чума,
конец им виден скорый,
им приговор почти
произнесен».
А. Ахматова.

«И вечный бой, покой нам
только снится».
А. Блок.

აგერ ფინიშიც...
ათას ჯავშნით, ათას რაკეტით,
ათას გუგუნით
საუკუნე მიდის მეოცე;
მხოლოდ ჯერ ისევ
ნისლში ბოლავს გადასახედი,
ჯერაც მზისგული ნათლად არ ჩანს
ამ სამზეოზე.

ვდგავართ საზღვართან
ისევ იმ ძველ ფიქრში წასულნი
და ჩვენს ცხრა მაისს,
იმ ჩვენს ზეიმს
უკან გავცქერით,
ჩვენ რომ გვეგონა
ყველა შავ-ბნელ
დღის დასასრული,
ჩვენ რომ გვეგონა
ქვეყნად ომი უკანასკნელი,

ისევ გუგუნებს,
მიწა ისევ ბეწვზე ჰკიდია,
ისევ თავს იწევს
შუღლი ძველი
ახალ რტოებით;
ისევ ახლოა — ის აჩრდილი
ისევ დიდია.
დგანან პირისპირ
ბანაკები, სატახტოები.

როგორც არასდროს,
ამ საზღვრებთან
შენც ხარ მისული,
როგორც არასდროს,
შენი ფესვიც მისი ფესვია;
არ არის ქვეყნებს
გამორთული, გამოთიშული
არც საქართველო,
არც მშვიდობა,
არც პოეზია.

როგორც არასდროს,
ერთურთს მისდევს
ბედი ერთურთის,
ბედი უპირო, უმართავი,
ბედი მართული,
თუა მშვიდობა —
ეს მშვიდობა
ქვეყნებს ეკუთვნით;
ქვეყნებს ეკუთვნით
პოეზია, თუა ქართული.

ჯერ კვლავ მწყობრში ვართ,
ჯერ კვლავ ფეხზე
ვართ პოეტები,
რომელთაც გვახსოვს
უარესზე დღე უარესი,
ჩვენ მაინც ვუხმობთ,
მაინც ვუხმობთ თავგამეტებით —
ჩვენი ძახილი,
ჩვენი ხმები ესმით, არ ესმით;

მაინც გავძახით,
ჩვენს ფხიზელ ხმებს,
ჩვენს მაღვიძარ ხმებს,
იმ დიდ მუხებსაც,
იმ ბნელ ხევში
მოსულ იასაც...
ვართ პოეტები,
პოეტები ვწირავთ სიცოცხლეს
ზავს და მშვიდობას,
საქართველოს მშვიდობიან ცას.

სიცოცხლის ეშხით

მხოლოდ ცეცხლია,
მხოლოდ წვაა,
მხოლოდ ლექსია,
მხოლოდ ჰიმნია,
ჰიმნი დასთა,
ასთა, ათასთა —
საქართველოში ხანში შესვლა უმძიმესია,
ქართულ მიწაზე უნდა იყოს სულ ახალგაზრდა.

სიცოცხლის ეშხით,
კაცმა რომ თქვას,
ყველაზე მეტად,
ყველაზე ნაღდად
გულს ვიჯერებთ
ჩვენ, პოეტები —
დაფნის, პატივის,
სიყვარულის ხვეჭა და ხვეტა,
ვარდ-ყვავილები, ფარდაგები,
ოქროს ეტლები,

გაზაფხულები, აპრილები,
სულის წამლები;
მიწის გულიდან აფრენილი
ცაში ბალები;
შავ კლდეებიდან მოვარდნილი
ვერცხლის წარღვნები,
მთაგრეხილები, მწვერვალები, იალაღები

მხოლოდ ცეცხლია,
მხოლოდ წვაა,
მხოლოდ ლექსია,
მხოლოდ ჰიმნია,
ჰიმნი დასთა
ასთა, ათასთა...
საქართველოში ხანში შესვლა უმძიმესია,
საქართველოში უნდა იყო სულ ახალგაზრდა.

მუდამ თავიდან

ათასჯერ, მაგრამ,
გინდა, არ გინდა,
მუდამ ერთხელაც,
მუდამ თავიდან:
— საით გაფრინდა, როდის გაფრინდა,
საით წავიდა, როდის წავიდა?

წლები...
ეს წლები დღეს მხოლოდ დარდი.
დღეს მხოლოდ ბინდი იქნებ არც არი
და სადმე ყრია
ვით ძველი ჯართი,
ვით ძველი ფლასი, გამონაცვალი.

ყრია იმ ნისლში,
იმ სიმშვიდეში
და იქ, მთებს იქით,
შორს, სულ შორს არის;
ან იქნებ აქვე, ბაღის კიდეში
ბოლავს და ბოლავს ხმელ ნეშოსავით.

ან იქნებ სულაც,
ფრთების ტკაცუნით
მიადგა ყველა უმაღლეს ფინალს
და უწონობის ხაზზე გასული
იქ უჰაერო სივრცეში ფრინავს.

ფრინავს იმ სუნთქვით,
იმავ ბუნებით,
იმავ სიცოცხლით,
იმავ სინედლით...
შენ წადი მაინც ამ დარწმუნებით,
შენ წადი, წადი ამ დიდ იმედით.

მთავარი ნიჭი

მთავარი ნიჭი —
სხვა რამ ნიჭი არა თქვას კაცმა,
(ნიჭს და ბედ-იღბალს
ნურვინ აღრევს,
ნურვინ შეურევს).
მთავარი ნიჭი:
თავის დროზე
წერტილის დასმა, —
მხოლოდ ეს ნიჭი
კოდში უდევთ მარტო რჩეულებს.

მაგრამ ვაი, რომ
როცა ბოლოს მოდის გამჩენი,
მოდის გამჩენი, უკვე სამტროდ,
სამუხანათოდ.
წერტილის დასმა —
თვით რჩეულთაც
უთრთით მარჯვენი,
წერტილის დასმა —
თვით რჩეულთაც ნიჭი ღალატობთ.

ყველა ვატარებთ საკუთარ ნიღაბს

ყველა ვატარებთ საკუთარ ნიღაბს,
მეც,
შენც და
ისიც;
ჩვენც,
თქვენც და
ვილაც,
ცოტად თუ მეტად, კარგად თუ ავად,
მხოლოდ ჩვენ ხშირად ვერც ვხედავთ თავად
მის ფერს და ნიშანს,
მის აზრს და გზა-კვალს,
როცა კაცურად ვულიმით მზაკვარს;
როცა ვარიგებთ ხიბლსა და სითბოს,
როცა სიმრუდეს ვერც ვამჩნევთ თითქოს;
როცა გულს ვუხსნით ცრუსა და მლიქვნელს,
როცა სიყალბეს არ ვქოლავთ იქვე,
როცა თვალს არ გვჭრის ძარცვა და ხვეჭა,
როცა ხმელ აზრებს ვღეჭავთ და ვღეჭავთ,
როცა თავგასვლას ვფარავთ და ვთაფლავთ;
როცა სიმდაბლეს სიმაღლედ ვნათლავთ,
როცა ცხელ ომშიც ხმალს ვიქნევთ ყუით,
როცა ჩვენს სულთან, ჩვენს სულთან ვტყუით
მეც,
შენც და
ისიც;
ჩვენც,
თქვენც და
ვილაც —
ყველა საკუთარს ვატარებთ ნიღაბს.

მუზეუმები

ცოცხლებს ეკუთვნით ყველაფერი,
ხმაც და უფლებაც,
მზეც და ქვეყნებიც,
მზიურები, უმზეურები;
წასულებს მხოლოდ
ერთადერთი აქვთ საკუთრება
— მუზეუმები.

მუზეუმები — ტკბილ ოცნების,
მაღალ ლოცვების,
მუზეუმები — ისევ ქვეყნის,
ისევ ცოცხლების.

თუ ხარ ნამდვილი

ბოლოს და ბოლოს,
თუ ხარ ნაღდი,
თუ ხარ ნამდვილი,
თუ ხარ პოეტი,
ხარ და ცისკრის
კარი გელება, —
შენ შიში ნუ გაქვს,
სამთავ ჭირის
სამთავ ნადირის —
არც დრო, არც სივრცე,
არც ასაკი შენ არ გეხება.

ჩამოჰკრავს ზარი,
ფეხაკრეფით მოდის ასაკი,
მოდის ასაკი,
შენს თმებს ბარდნის,
შენს თმებს აობებს,
ჩამოჰკრავს ზარი,
მუხლებს გართმევს ეს ავაზაკი,
შენ კი ღიღინით
თაობიდან მისდევ თაობებს.

ჩამოჰკრავს ზარი,
უკვე ქრება შენი ეკრანიც,
ქრება შენი დროც,
შენ კი ისევ ახლად იწყები —
შენ კვლავ გამზირზე
დგახარ, როგორც
ლოდი ეკლარის,
ის კი ლამურებს ფრთებივით მიაქვთ —
დრო დავიწყების.

ჩამოჰკრავს ზარი,
შენ ძლივს ასწრებ
სათქმელს მეასედს
და ჰა, სივრცეებს
ფესვი მიაქვთ
ცვლაში ახალში;
ახლა სხვა ვინმე
იმ შენს არჩივ
სივრცეს შეავსებს,
მაგრამ იქ მარად შენი მხრების
ჩანს მონახაზი.

თუ ხარ მაღალი,
თუ ხარ ნაღდი,
თუ ხარ ნამდვილი,
თუ ხარ პოეტი,
ხარ და ცისკრის კარი გელება,
ბოლოს და ბოლოს,
შენც თვით იცი შენი ადგილი —
არც დრო, არც სივრცე,
არც ასაკი შენ არ გეხება.

ოქტომბერი, 1982 წ.

„მე აგიყვან ხელში, როგორც ნაპოვნ ბატკანს მწყემსი" — გიორგი ლეონიძის ეს სტრიქონები გაახსენდება ძალაუნებურად ამ სურათის მხილველს. მთაში აცივდა, ცხვარ-მეცხვარე ბარისაკენ დაიძრა.

ს. თევზაძისა და ვ. ვენგიურის ფოტო.

ფიქრები ხევსურეთის ხვალინდელ დღეზე

არხოტი ერთი თვალის გადავლებით

აულია გზები ბალახს,
როგორც მუშტამს როშკის
ციხე,
როცა ცრემლებს ველარ
მალავს
დარდს ლრუბლებად
შემოიხვევს.
შვილებისგან განაწირი
გულში იკლავს ყველა
კივილს,
და შატილი, როგორც ლირი
თავის ხიმარტოვეს ტირის.

ეს ლექსი ამ რამდენიმე წლის წინ დავწერე და დავბეჭდე, მაშინ, როცა მთა გალავანმორღვეულ ციხეს ჰგავდა, იშლებოდა და იშრიტებოდა, მაშინ როცა მიტოვებული სახლის ფანჯრები თვალებდათხრილი ვაჟკაცებივით იდგნენ და გაპარტახებული სახლის კიბეზე ყიზილბაშივით ადიოდა ბალახი.

ეს იყო ადრე, რამდენიმე წლის წინ.

ახლა ისევ მივდივარ მთისკენ, უფრო სწორად, მივდივართ საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თანამშრომლები. საქართველოს რადიომ შეფობა იკისრა არხოტზე, და ახლა იქ რადიომსმენელებთან შეხვედრას ვაწყობთ, საჩუქრებიც მიგვაქვს სოფლელებისათვის.

სექტემბრის მზეში გახვეული ჩვენი „მიგი" კი არ მიფრინავს, თითქოს უხილავი ძაფით ჰკიდია ოდნავ გაფერმკრთალებულ ცას. მაგრამ თანამედროვე ტექნიკა მაინც თავის საქმეს აკეთებს, ნახევარი საათის შემდეგ უკვე ცაც შეიცვალა და მიწაც. ღმერთო, რა სილამაზე გადაიშალა ჩვენს თვალწინ, თითქოს ათასი გუდიაშვილი და ფიროსმანი იდგა და ხატავდა ამ ტყეს, ამ კორდებს, ამ მთებს, ამ ცას, ოდნავ დაღლილი შემოდგომის მზის სხივებში გახვეული ათასი ფერი, თითქოს ბგერებად, ჰანგებად ქცეულნი მღეროდნენ, მღეროდნენ მზისა და სიცოცხლის, არხოტისა და არხოტელების სადიდებელს, ახლა რომ ვინმემ მკითხოს ფერები როგორ მღეროდნენო, ვერ ავუხსნი, მაგრამ რომ მღეროდნენ, ეს ნამდვილია. მღეროდნენ ისე ძლიერ, რომ ვერტმფრენის ხმაურიც ვერ ახშობდა მათი ფერების სიხასხასეს. წვრილი, გაყინული ჩანჩქერები ბროლის ყელსაბამივით ეკიდა არხოტის მთებს, და ამ მთებში, ამ სამოთხეში ლამაზი დიაცის ლოყებიდან ჩამოვარდნილი ცრემლებივით კიაფობდა თითო ოროლა სახლი, რომელიც ჩემში სევდასაც იწვევდა და სიხარულსაც, სევდას — მათი მარტოსულობა, სიხარულს — მათი არსებობა, თუნდაც ეულად ამოსული კვამლის ბოლო, რომელიც ბილიკივით მიიწვერდა ცის სილურჯეში, როგორც ამ მთის, ამ ტყის, ამ მიწის სიცოცხლის ნიშანი. ცოტაც და, უცებ ჩემს სევდიან ფიქრებში მუქფერით შემოიჭრა შატილი, მისი ახალი, თეთრი, ქათქათა სახლები თითქოს ასაფრენად ფრთაგაშლილ გედებს გავდნენ, იდგა კოხტა, ლამაზი შატილი, როგორც სიმბოლო ახალი მთის, ახალი ცხოვრების, იდგა ჯერ კიდევ ლოდინითა და სიმარტოვით დაღლილი სხვა სოფლების იმედად.

აგერ სოფელი ამლა, არც ისე დიდი ხნის წინათ თითქმის მიტოვებული და დაცლილი, ახლა ისევ ფეხზე დამდგარი, იმედიანი, ღონიერი, მიწაზე დაფრენილი ვერტმფრენის წინ თითქოს საპატიო ყარაულად ჩამწკრივებულან თავის ზვინები, პირველი ნიშანი სოფლის სიცოცხლის, ამ მიწაზე ადამიანის დაღვრილი ოფლის.

„ხახელის მომპოვებელი
განალა მარტო ომია,
სამშობლოს საკურთხეველთან
ოფლსაც სისხლივით სწონიან".

აქედან კილომეტრნახევარია სოფელ ახიელამდე. ძაღლების ყეფამ შორიდანვე გვამცნო, რომ სოფელს ახლა პატრონი ჰყავს, მტრის დამხვედრიცა და სტუმრის მიმღებიც, ნაშალი ლოდებისაგან აშენებული სახლებიდან სტუმრების მისაღებად გამოეფინენ შინ დარჩენილი ბავშვები და ქალები, ცოტა ხნის შემდეგ ჯალაბობას სათიბიდან დაბრუნებული მამაკაცებიც შეუერთდნენ და სულ მალე ახალაგებული ლამაზი შენობის წინ, რომელშიც სკოლა და ბიბლიოთეკა უნდა გაიხსნას, სახელდახელო საუბარი, სიმღერები და კაფიაობა გაჩაღდა.

ისე სწრაფად, შეუმჩნევლად გაირბინა დრომ, რომ საღამოს თბილისში დაბრუნებულს ერთი წამით ეჭვიც კი შემეპარა, ეს ყველაფერი ხომ არ მომელანდა ან სიზმარში ხომ არ ვნახე-მეთქი, მაგრამ როცა ჩემს ოთახში არხოტიდან ჩამოტანილ და ლარნაკში ჩადებულ საოცრად ლამაზ ასკილის ტოტს შევხედე, მივხვდი, რომ ნამდვილად ვიყავი არხოტში, ვიყავი ზღაპარში, სიზმარში, ვიყავი წარსულში და დღევანდელობაში, ნამდვილად ვნახე არხოტის ლამაზი და გოროზი მთები, მისი მოფარდაგებული ტყე-ჭალა, ოდესღაც ჩამქრალი კერებიდან ისევ ამოსული კვამლი, ვნახე ახალი გაცოცხლებული სოფელი, თავისი ბოკვერებივით მობაჯბაჯე ბალღებით, მდინარესავით დაუდეგარი გოგო-ბიჭებით, კლდესავით გაუტეხავი დედაკაცებით, მთასავით ამაყი და სიტყვაძვირი ვაჟკაცებით.

როცა არხოტელების წინაშე ლექსს ვკითხულობდი, მეგონა, რომ ვიდექი ყველაზე მაღალ ტრიბუნაზე, სადაც კი ოდესმე გამოვსულვარ. და ჩემი მსმენელი მარტო ის ოციოდე კაცი კი არ იყო, არამედ მისმენდნენ მთები, ჭალები, მინდვრები, მდინარეები, ჩანჩქერები, ანთებული თუ ასანთები ბუხრები, ნასახლარები თუ ძველი ციხე-კოშკები, და თვითონ მზეც, მომეჩვენა რომ წამით თითქოს მზეც ჩამოჯდა მთის წვერზე და თბილი, ალერსიანი, ღიმილნარევი თვალები მომანათა. და მე ლექსს კი არ ვკითხულობდი, ვლოცავდი ყველას და ყველაფერს, პირველ რიგში იმათ, ვინც ეს სოფელი არ მიატოვა, შემდეგ იმათ, ვინც ისევ დაუბრუნდა მამაპაპათა ნაფუძარს, მერე იმათ, ვინც კიდევ უფრო გონიერსა და ღონიერს გახდის მთასა და სოფელს, და ბოლოს ვლოცავდი იმათ, ვინც რწმენა მისცა ამ მთას, ამ მიწას, ამ სოფელს, ამ ხალხს, ვინც მთის ვიწრო ბილიკი გაშლილ შარაგზად აქცია და ისევ მთას დაუბრუნა მთიელი.

ნ. ჯალაღონია.

ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებაში ფასდაუდებელია XIX საუკუნის გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, დიმიტრი ბაქრაძის ღვაწლი.

დ. ბაქრაძის ცხოვრებისა და სამეცნიერო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ ბევრი დაწერილა. მიმდინარე წელს გამომცემლობა „მეცნიერებაში" დასტამბულმა ნაშრომმა „დიმიტრი ბაქრაძე როგორც წყაროთმცოდნე და არქეოგრაფი" მნიშვნელოვნად შეავსო ჩვენი ცოდნა ღვაწლმოსილი მეცნიერის შესახებ. წიგნის ავტორმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ანჩაბაძემ მთელ რიგ საკითხებთან ერთად წინ წამოსწია ისტორიის მეცნიერების ერთ-ერთი, დამოუკიდებელი დარგის — წყაროთმცოდნეობის ხერხებისა და მეთოდების კვლევის ისტორია დ. ბაქრაძის შემოქმედებაში.

დ. ბაქრაძის წინამორბედები XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის პირველი წარმომადგენლები დავით (1767-1819 წწ.), იოანე (1768-1830 წწ.) და ბაგრატ (1776-1841 წწ) ბაგრატიონები, ნიკოლოზ დადიანი (გარდაიცვალა 1834 წ.) თეიმურაზ ბაგრატიონი (1782-1846 წწ.) თავის თხზულებებზე მუშაობისას, ძირითადად, „ქართლის ცხოვრებას" ეყრდნობოდნენ. მათგან განსხვავებით, პლატონ იოსელიანი (1809-1875 წწ), მარი ბროსე (1802-1880 წწ.), სულხან ბარათაშვილი (1821-1866 წწ.) არ კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ ქართული თხრობითი წყაროებით და დიდ შრომას სწევდნენ ახალი წყაროების გამოვლენისა და გამოცემისათვის. მათი საქმის ღირსეული გამგრძელებელი დიმიტრი ბაქრაძე იყო. აი, რას წერდა იგი: „ჩვენ ბევრი შრომა გვჭირდება საქართველოს წარსულის ცხოვრების გამოკვლევისათვის. ჩვენ უნდა გამოვიძიოთ და ცნობაში მოვიყვანოთ, სადაც კი, საქართველოში თუ იმის გარეშე, კერძო სახლებში თუ მონასტრებში დაცულია ჩვენი ხრონიკები. ჩვენ უნდა გადმოვიწეროთ, თუ გადმოვიხაზოთ ძველის ეკლესიების კედლებიდან, მანუსკრიპტებიდან და საეკლესიო სამკაულებიდან ისტორიული მინაწერები... ჩვენ უნდა შევისწავლოთ შინაარსი გუჯრებისა და სიგელებისა... ჩვენ უნდა გავიცნოთ ჩვენ წინაპართა ნაწარმოები, საეკლესიო და საერო... სხვათა შორის შევიგნოთ, რა დროს, სადა და სად, რა და რა ტანსაცმელი გვქონია. ჩვენ უნდა ჩვენი წყაროები შევამოწმოთ უცხო ტომთა წყაროებით, სომხურით, სირიულით, ბერძნულით, რომაულით, არაბულით და სხვა. როდესაც ეს ცნობები გვექნება შემოკრეფილი და შესწავლილი, მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი ნამდვილის საქართველოს ისტორიის შედგენა".

არდავიწყება მოყვრისა

წიგნი გამოჩენილ მეცნიერსა და მამულიშვილზე

ეს ახალი სიტყვა იყო იმდროინდელ ისტორიის მეცნიერებაში.

თავად დ. ბაქრაძე გულმოდგინედ სწავლობდა ქართულ წყაროებს. გ. ანჩაბაძის ნაშრომში ვრცელი ადგილი ეთმობა ამ საკითხს. მონოგრაფიის ერთ-ერთი თავი „დიმიტრი ბაქრაძე საქართველოს ისტორიის წყაროების მკვლევარი" საინტერესოდ აშუქებს დიდი მეცნიერის ღვაწლს, რომელიც მან წყაროთა მოძიება-გამოვლენისა და მათი კვლევის საქმეს დასდო. არაერთი მაგალითია მოყვანილი იმისა, თუ როგორ საკადრის პასუხს სცემდა დ. ბაქრაძე ყველა იმას, ვინც ქართული წერილობითი წყაროების მეცნიერულ ღირებულებას ხელაღებით უარყოფდა.

გ. ანჩაბაძის წიგნში ცალკე თავები აქვს დათმობილი დ. ბაქრაძის მოღვაწეობას წყაროთმცოდნეობის [illegible]

[illegible]

მორალის თემაზე

დედინაცვალი

ჟურნალისტს გულგრილობის უფლება არა აქვს, მიკერძოებისა მითუმეტეს. არადა ყოველდღიურ სარედაქციო ფოსტაში არცთუ იშვიათად გამოერევა ისეთი წერილი, გამორჩეულად რომ გაღელვებს და გაფორიაქებს.

ამას წინათ სულისშემძვრელად მოგვწერა თვრამეტი წლის ახალგაზრდამ: „დედაჩემი ჩემზე მშობიარობამ სულით დააავადა, დღესაც საავადმყოფოშია. მამამ სამ წლამდე მზარდა, მერე ბავშვთა სახლში მიმაბარა, თვითონ კი ზედსიძედ შევიდა სხვა ოჯახში და წლების განმავლობაში ორჯერაც არ ვუნახივარ. დედაჩემის ბებიამ ის ბინა, სადაც სამ წლამდე ვიზრდებოდი, თავის მეორე შვილს უანდერძა. რომ წამოვიზარდე, მამასთან ჩავედი (პასპორტიც იქა მაქვს აღებული), მაგრამ... დიდხანს ვერ გავძელი და ისევ დედისეულ ბინას მივაკითხე. ბინა დაკეტილი დამხვდა; მას დედაჩემის ბიძა, ე. ი. პაპაჩემის ძმა, გაყიდვას უპირებს. მე კი უბინაოდ ვარ. მინდა დედა გამოვიყვანო საავადმყოფოდან, მაგრამ სად წავიყვანო?!"...

წერილში მოყვანილი ფაქტების დაზუსტება სასამართლოდან დავიწყეთ — ბიჭი გვწერდა, ანდერძის გაუქმება და ბინის დაბრუნება ვითხოვე, მაგრამ კალინინის რაიონის სახალხო სასამართლომ უარი მითხრაო.

სარჩელზე უარის თქმის დამასაბუთებელი ქაღალდები რომ მოვიკითხეთ, მოსამართლემ სასამართლოს გადაწყვეტილება გამოგვიწოდა, თან დასძინა, სარჩელზე უარი ვუთხარით, უფრო ზუსტად საქმის წარმოება შევწყვიტეთ, რადგან განხილვის პროცესში გამოირკვა, რომ საქმეზე არ იყო წარმოდგენილი მოანდერძის გარდაცვალების მოწმობაო. ამასთან მოსარჩელეს განვუმარტეთ, რომ უნდა მიმართოს სახალხო სასამართლოს, რათა დადასტურებულ იქნეს გარდაცვალების ფაქტი, რის შემდეგაც მას შეუძლია იგივე საკითხი სასამართლო ორგანოებში აღძრასო.

მოსამართლემ არც ის დაუმალა, რომ, რაკი ქონება ანდერძით არის გასხვისებული, სასამართლოს წესით მემკვიდრეობის ძიება ამაოა. ამიტომ ამის შემდეგ ბიჭს სასამართლოსთვის არც მიუმართავს, რედაქციას მოაკითხა.

საბჭოთა კანონ-სამართალი ჰუმანურია და საზოგადოების, ადამიანის ინტერესების დაცვას ემსახურება, მაგრამ იმისათვის, რომ იგი განუხრელად შესრულდეს, ასევე კეთილი და ჰუმანური ადამიანების ხელში უნდა მოხვდეს. ამასთან არსებობს მორალური, დაუწერელი კანონებიც, რომლებიც იქნებ ყოველთვის სახელმწიფო კანონმდებლობის ჩარჩოებში არც თავსდებოდეს, მაგრამ ხშირად სწორედ ამ დაუწერელი კანონის მსჯავრია საბოლოო და გადამწყვეტი. ამიტომ ვიფიქრე, მართალია, სასამართლომ სახლი ანდერძის მფლობელს მიაკუთვნა, მაგრამ კაცი თვითონ ისე როგორ აიღებს სინდისზე ხელს, რომ სისხლით ნათესავს, თანაც ბედისგან ასე დაჩაგრულს, დედისეული ბინა გაუყიდოს! იქნებ მაშინ შეცდა, ხდება, რა ვუყოთ, ადამიანია, ახლა, ალბათ, ბევრსაც ნანობს მაგრამ საბოლოოდ ნაბიჯი ველარ გადაუდგამს, მივალ დავეხმარები-მეთქი ვიფიქრე. მივედი მაგრამ... ამაოდ, არაფერი გამოვიდა. ამის შემდეგ რომელი კანონის სახელით მელაპარაკა ბიჭის დედინაცვალთან, რის იმედი უნდა მქონოდა, როცა საკუთარმა პაპამაც კი ასე ულმერთოდ გასწირა? და თუ მაინც ჩავედი ბოდბისხევში, მხოლოდ იმიტომ, რომ ბიჭის ასავალ-დასავალი უფრო დაწვრილებით გამეგო.

ბინა ჭერდაბალი იყო, ორსართულიანი, უბრალოდ გაწყობილი. პატარა და-ძმა შემომეგება, დედ-მამა სამუშაოდ არიანო. უფროსი ძმის ამბავი ვკითხე. დედის გავლენა მუდამ დიდია შვილებზე, და, რა გასაკვირი იყო, ბავშვებს აუგი რომ ეთქვათ გერ ძმაზე, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. პირიქით, პატარა ქიტას ძმის ხსენებაზე თვალები აუციმციმდა.

— გიყვარს?

— ი, მა რაა? — ისე გაიოცა, გული ამიჩუყდა, წამოსვლა დავაპირე, საღამოზე შემოგივლით-მეთქი, უნდა დამებარებინა, სწორედ ამ დროს ჭიშკარი ძძებიანმა ქალმა შემოაღო.

— დედიკომ რაღაცა მომიტანა! — შეეგება ქიტა და ქაღალდის ყუთს წაეპოტინა.

— შენ არა, შვილო, ალეკოს მოვუტანე, უბრალო კია, მაგრამ გაუხარდება, — და მაგიდაზე ჯინსის ლამაზი, იმპორტული ფეხსაცმელი დადო.

აი, თურმე როგორი ყოფილა ალეკოს დედინაცვალი?! მე კი ბიჭის წერილით სულ სხვანაირად მყავდა წარმოდგენილი.

— გეტყობათ შვილივით გიყვართ, გერი...

— ალეკოზე ამბობთ?!.. აბა, რა გითხრათ, ზოგს დედ-მამა თავზე ადგას და მაინც ისეთი გამოვა რო... ალეკო კი ცუდი ბიჭი არ არის... რავი, ჩემთან კარგია და!

— კარგი რომ იყოს, 18 წლის ბიჭი აქეთ-იქით არ იხეტიალებდა; რუსთავში სამუშაო მიატოვა, აქ ჩამოვიდა, აქაც, ალბათ, ერთი-ორი შენიშვნა ვერ აიტანა და ახლა თბილისში გაიქცა. არ მუშაობს, ვინ იცის, ახლა სად არის და რას აკეთებს!

ქალი ფართოდგახელილი თვალებით მომაჩერდა, მერე დამნაშავესავით აიფარა პირზე ხელი და გაიღიმა:

— უი, ჩემი სიკვდილი! წერილი ჩემი დაწერილია. თქვენ კიდე მართლა იფიქრეთ, რომ უსაქმურია? უჩვა გვაპატიოთ, აბა, რა ვქნათ? სიმართლით სამართალს რომ ვერ ვეწიეთ, ვიფიქრე დედინაცვლისაგან უარყოფილსა და უპატრონოს მაინც შეიცოდებენ-მეთქი. ისე, ხომ შემეძლო მართლა არ მიმეღო, ბინა ჩემია და არა მამამისისა!

— მაშ, ის ბიჭი სახლიდან არ დაგითხოვიათ?

— რომ დამეთხოვა, სად უნდა გამეგზავნა? მეხანძრედ მუშაობს. ახლა კი თბილისშია კურსებზე.

— დედამისის ბინა რომ ვერ დაიბრუნოს, აქ გეყოლებათ, შვილად მიიღებთ?

— აბა, რას ვუზამთ, ადამიანო?!...

სილაგაწნულივით მეწვის ლოყები; ესეც შენი „დედინაცვალი — თვალში ნაცარი"!.. ბოლოს და ბოლოს, ვინ არის ეს ქალი ამ ბიჭისთვის, რა მოვალეობა აკისრია, რა შეიძლება მოეთხოვოს ან ვინ მოსთხოვს რაიმეს?! ბიჭის პაპა კი, თვრამეტი წელი მისი ავადმყოფი დედის პენსიას და მამის ალიმენტს რომ იღებს, დახმარების ნაცვლად სასამართლოში დაარბენინებს და გზა-კვალს უბნევს, რწმენას ურყევს ომში დაღუპული ღვიძლი ძმის ნაგრამს.

— ალეკომ დედისაგან წერილი მიიღო, უკეთ ვარ და წამიყვანეო. ბინაში კი არ უშვებენ. — ეს არის სამართალი? — ქალის ხმას ფიქრებიდან გამოვყავარ.

— რას იზამ, კანონი კანონია! იმ კაცს ბინა ანდერძით აქვს დამტკიცებული.

— ანდერძით? ნუთუ თქვენც გჯერათ, რომ ქალმა თავისი ავადმყოფი შვილიშვილი და მისი უპატრონოდ დარჩენილი შვილი ასე განუკითხავად მოიგლიჯა გულიდან, და უბინაოდ დატოვა?

— ასე მოხდა და!...

— არა, არ შეიძლება ასე მომხდარიყო! ანდერძში არ წერია, მაგრამ მე ვიცი — დედა ვარ, ქალი ვარ და ვიცი: მოხუცმა თავის ვაჟიშვილს იმიტომ უანდერძა ბინა, რომ იგი მისი შვილიშვილისათვის შეენახათ. წერა-კითხვა რომ სცოდნოდა, ამას ჩაწერდა კიდეც ანდერძში. მაგრამ, არ იცოდა, მოატყუეს. არადა, რა ექნა? შვილსაც აღარ ენდობოდა!? სასამართლომ ეს რატომ არ უნდა გაითვალისწინოს?

— და მაინც, რომ ვერ დაიბრუნოთ ბინა, რას იზამთ, იმ ქალს რა პასუხს მისწერთ?

— ვერ დავიბრუნოთ? — ისეთი გაოცებული დუმილით შემომცქერის თვალებადქცეული, რომ ძლივს ვუსწორებ მზერას, მაგრამ ქალი თვითონ მარიდებს თვალს, შეციებულ ბეღურასავით იბუზება.

— თუკი ყველამ უსამართლობას დაუჭირეთ მხარი და არაადამიანური საქციელი კანონიერად აღიარეთ, რაღა თქმა უნდა, ვერ დავიბრუნებთ... ცოტა ხანს ჩუმად არის. ცრემლჩამდგარი თვალებით იატაკს დასცქერის. მერე ლოყით მავი კაბის საყელოს ეფერება და მშვიდი, ნაღვლიანი ხმით განაგრძობს: ხელმოკლეობის შიშით კეთილ საქმეზე უარი არ უნდა თქვა, სიკეთე სანთელია, სანთელ-საკმეველი კი თავის გზას არ დაკარგავსო, სულ ამას მეუბნებოდა დედაჩემი... ჰოდა, მივწერ, რომ ჩამოვიდეს. თვითონ ჩამოვიყვან ალეკოს დედას. თუ საჭირო გახდა... დიახ! ჩემი შვილები მისთვის ლუკმის გაცემას არ დამამადლიან!..

ქალმა ეს სიტყვები ალბათ იმ იმედითაც თქვა, რომ სჯერა სამართალს არაფერი შეეშლება — ბიჭი და დედამისი ადრე თუ გვიან მაინც დაიბრუნებენ თავის ბინას, სხვისი შესანახი და საპატრონო არ გახდებიან. დარწმუნებული ვარ, ეს ასეც იქნება, მაგრამ პირიქითაც რომ მოხდეს, ალეკოს დედინაცვალს და მის მსგავს ადამიანებს ეყოფათ ძალა, რომ სიტყვა საქმედ აქციონ, რადგან მართლაც ყოვლისშემძლეა ადამიანური სიკეთე.

...შევყურებდი ამ კაფანდარა, სანთლივით ჩამომდნარი ქალის სინათლით სავსე თვალებს და ვფიქრობდი. თურმე რა ძვირფასი, რა სათუთად სათქმელი სიტყვაა დედინაცვალი, თუ კი იგი ნამდვილ ადამიანს ჰქვია.

მ. მათიაშვილი.

როცა ტელეფონი „ჭკვიანი" ხდება

მეცნიერების თვალსაწიერი

საქართველოში პირველი ტელეფონი 100 წლის წინათ, 1882 წლის მაისში ამუშავდა. ტელეფონის აპარატმა გაზეთ „კავკაზის" რედაქცია სტამბასთან დააკავშირა. ეს იყო ნამდვილი სენსაცია, მაშინ რედაქციაში მოდიოდნენ თბილისელები და საქართველოს რაიონებიდან ჩამოსული სტუმრები, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ ადამიანის ხმა წვრილი მავთულით ერთი ადგილიდან მეორეში მართლა გადაეცემოდა. მნახველებს ისიც უნდოდათ გამოერკვიათ, რომელ ენაზე შეიძლებოდა ტელეფონით ლაპარაკი — ქართულად, რუსულად, სომხურად თუ...

მას შემდეგ საუკუნე გავიდა. დიდი ხანია თბილისში ტელეფონის აპარატების რაოდენობამ 120 ათასს გადააჭარბა, ხოლო რესპუბლიკაში მარტო კავშირგაბმულობის სამინისტროს ხაზით — 380 ათასი ტელეფონი მუშაობს. სხვადასხვა უწყების სისტემაში სატელეფონო სადგურებთან თითქმის 80 ათასი ტელეფონია მიერთებული.

დღეისათვის ეს ფაქტი აღარ უკვირთ და დასამალი როდია, რომ აბონენტები, ხშირად, სამართლიან საყვედურებსაც გამოთქვამენ ტელეფონის მუშაობის თაობაზე. ყოველდღიურ ცხოვრებაში სატელეფონო კავშირის მნიშვნელობა იზრდება და მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა ფონზე ტელეფონების „თვისებები" გაცილებით საინტერესო და ხელსაყრელი შეიძლება გახდეს.

მოდით, ნუ ვილაპარაკებთ იმაზე, თუ რატომ არ მუშაობენ დღეს ტელეფონები ისე, როგორც საჭიროა. (ეს სხვა სალაპარაკო თემაა). ამჟამად საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორ ტელეფონებს გვპირდებიან მომავლისათვის მეცნიერები, ინჟინრები და კონსტრუქტორები, რომლებიც სისტემატურ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევიან ახალი სისტემის ავტომატური სატელეფონო სადგურების შესაქმნელად.

სადღეისოდ ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი ქალაქის სატელეფონო ქსელებში უკვე გამოჩნდა ექსპერიმენტული კვაზიელექტრონული ავტომატური ტელეფონის სადგურები. მათი ფართოდ დანერგვა 1985 წლიდან დაიწყება, მაშინ როცა შეწყდება საკმაოდ ცნობილი დეკადურ-ბიჯური ავტომატური სატელეფონო სადგურების გამოშვება. ისინი, როგორც თბილისში, ისე რესპუბლიკის სხვა ქალაქებში იმუშავებენ.

კვაზიელექტრონული ავტომატური სატელეფონო სადგური მინიატიურული გამომთვლელი ელექტრონული მანქანების დახმარებით აბონენტებს საშუალებას აძლევს ისარგებლონ ახალ სახეობათა მომსახურებით. ეს კი სატელეფონო კავშირს ძალზე მოხერხებულს ხდის როგორც ოჯახებში, ასევე წარმოება-დაწესებულებებში.

ვინ იცის, რამდენჯერ ხდება, როცა ერთი და იგივე ტელეფონის ნომერს რამდენჯერმე ვრეკავთ იმიტომ, რომ გამოსაძახებელი აპარატი დაკავებულია. განუწყვეტლივ გესმით ყურმილში წყვეტილი სიგნალები, ამ უხერხულობას შემდგომში თავიდან აგვაცილებს კვაზიელექტრონული სადგური. თუ მაგალითად, გამოსაძახებელი აბონენტი დაკავებულია, მშვიდად დავდებთ ყურმილს და როცა ხაზი განთავისუფლდება თქვენი ტელეფონი ავტომატურად შეგაერთებთ ნებისმიერ ობიექტთან. ცხადია, ნომრის რამდენჯერმე აკრეფა აღარ დაგჭირდება. თუ სტუმრად წასვლას დააპირებთ, შეგეძლებათ დამხსომებელ მოწყობილობას „შეუკვეთოთ": ვინც ტელეფონით — ნომერი 22-22-99 — დამირეკავს, გამოძახება გადაუგზავნეთ ნომერ — 73-22-99-ს, მე იქ ვიქნები. ასეთი შეკვეთის მიცემა ცხადია, საკუთარ აპარატზე ციფრების აკრეფით მოხდება. ჯერ უნდა აკრიფოთ სპეციალური კოდი, მერე 22-22-99 და ბოლოს — 73-22-99.

ამგვარი „ჭკვიანი" ტელეფონის შესაძლებლობანი დიდია. მაგალითად, წარმოების, ორგანიზაციის ან გაერთიანების ხელმძღვანელი შეძლებს წინასწარი ნომრების აკრეფით ერთდროულად ესაუბროს რამდენიმე თანამშრომელს. ასევე, თუ ერთი აბონენტი ელაპარაკება მეორეს, აკრეფს ნომერს და მესამე აბონენტსაც ჩართავს საუბარში და არა ისე, როგორც ახლა როცა უცხო პიროვნება უნებლიეთ ჩაერთვება ხოლმე საუბარში.

ახლა, დავუშვათ, ყველაზე ხშირად მოქალაქე 15 ნაცნობ-მეგობართან რეკავს. იგი შეძლებს 15 ტელეფონის ნომერი გადასცეს სადგურის დამხსომებელ მოწყობილობას, მერე კი (ვთქვათ, ექვსნიშნიანი ნომრებით) თავის აპარატზე მხოლოდ ორი ციფრის აკრეფით შემოიერთოს. ეს დაუზოგავს დროს და თანაც ნაცნობის ორნიშნიანი ნომრის დახსომება გაცილებით ადვილი იქნება.

მრავალი მსგავსი დამატებითი მომსახურების გაწევა შეუძლია კვაზიელექტრონულ ავტომატურ სატელეფონო სადგურს, რომელიც ახალი „თაობის" წარმომადგენლია და გამოყენების დიდი პერსპექტივები აქვს.

დღევანდელი სადგურების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაკლი აქ გამოყენებულ ხელსაწყო-მძებნელების ხშირ დაზიანებასთან არის დაკავშირებული. ერთი გაფუჭებული ხელსაწყო დღის განმავლობაში ასობით აბონენტს შეცდომით, ან საერთოდ არ დააკავშირებს ერთმანეთთან, და თუ იგი მოქმედებიდან არ გამოირთო, მეორე, მესამე და შემდეგ დღეებში ათასობით აბონენტს აუშლის ნერვებს. კვაზიელექტრონულ სადგურში კი ასე არ მოხდება. აქ ნებისმიერი ბლოკის დაზიანების შემთხვევაში იგი თვითონ გამოირთვება, სიგნალს აანთებს და „გვეტყვის": დავზიანდი და შემცვალეთო. ამიტომაც სხვა ტელეფონებს მუშაობაში ხელს ველარ შეუშლის. ეს იქნება ტელეფონების მუშაობის ხარისხის პრინციპულად მკვეთრი ზრდა.

დამატებითი მომსახურების უნარი ექნება აგრეთვე სოფლებში დადგმულ ინტეგრალურ კვაზიელექტრონულ ავტომატურ სატელეფონო სადგურებსაც. ასეთი სადგურები ორი ტიპისა იქნება — პირველი და მესამე. 512-დან 4096 ნომრამდე ტევადობის პირველი ტიპის სადგურებს დიდ სოფლებში ან რაიონულ ცენტრებში [illegible]

[illegible]

ქაჯანი

სატურნიროო ორბიტა

[illegible] ოსნურ კროსში გამარჯვებითა და აგრეთვე დუშანბელი სპორტსმენის ა. სტაროსტინის კარგი გამოსვლით, რომელმაც მოიპოვა მეორე ადგილი (5.431 ქულა). პირად ჩა- [illegible]

[illegible]

ტელევიზია

10 ოქტომბერი

მოსკოვი

[illegible]

10 ოქტომბერი

თბილისი

[illegible]